# ბიულეტენი

№ 70
2002
ივლისი

## საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ISSN 1512-0813

სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და ეკონომიკური ზრდა

სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიური განვითარების გლობალიზაცია

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

C 03 - 00405

© საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

# საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ავთანდილ ჩუთლაშვილი
**სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და ეკონომიკური ზრდა** ---------- 2

შოთა ჭალაგანიძე
ეკა ჭალაგანიძე
**სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიური განვითარების გლობალიზაცია** ---------- 31

№70/ივლისი
თბილისი 2002

Friedrich-Ebert-Stiftung Bonn Bibliothek
C 03 - 00405

# სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება და ეკონომიკური ზრდა

სამეწარმეო გარემო ბევრად განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების სამომავლო პერსპექტივებს. ამიტომ, როდესაც საუბრობენ იმაზე, თუ რა აფერხებს წარმოების განვითარებას და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, მიზეზი სხვა ფაქტორებთან ერთად, წარმოების კონკურენტუნარიანობაშიც უნდა ვეძებოთ. ქვეყნის სამეწარმეო გარემოს ცალკეულ საწარმოთა ის ერთობლიობა ჰქმნის, რომლის მრავალფეროვნებათა გათვალისწინებით ხასიათდება მათ გარშემო არსებული, როგორც გარე, ასევე შიდა მოვლენები. დღევანდელი სამეწარმეო გარემოს დახასიათებისას ხშირად ხმარობენ სიტყვებს - კორუფცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა, კონტრაბანდა, გადასახადების დამალვა, „კრიშა" ანუ მფარველობა ხელისუფლების ეშელონებში და ა.შ.

საქართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიანი სახელმწიფო რეგისტრის მონაცემების მიხედვით, 2002 წლის დასაწყისისთვის ქვეყანაში რეგისტრირებული იყო 81,0 ათასზე მეტი საწარმო და ორგანიზაცია. მათი რაოდენობა წინა წელთან შედარებით 6,8 ათასით ანუ 9,2%-ით, ხოლო 1997 წელთან შედარებით 36,6 ათასით ანუ 81,6%-ით გაიზარდა (იხილეთ ცხრილი №1).

***რაოდენობის მიხედვით*** ყველაზე მეტი საწარმო და ორგანიზაცია - 39,7 ათასი ერთეული მოქმედებს ვაჭრობაში, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტში. მათი ხვედრითი წილი საერთო მოცულობის 48,9%-ს შეადგენს და მათმა რაოდენობამ 1997 წელთან შედარებით 18,9 ათასით ანუ 90,9%-ით მოიმატა. მეორე ადგილზე მოდის გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოები და დაწესებულებები. 2001 წლის შედეგების მიხედვით მათი რაოდენობა 10,2 ათასი ერთეული, ხოლო ხვედრითი წილი 12,5% იყო. მიუხედავად იმისა, რომ გადამამუშავებელ მრეწველობაში დასაქმებულთა რაოდენობა 1997 წელთან შედარებით 3,8 ათასი ერთეულით ანუ 60,4%-ით გაიზარდა, მათი ხვედრითი წილი 14,2%-იდან 12,5%-მდე შემცირდა, რაც გარკვეული სტრუქტურული გარდაქმნებითაა განპირობებული. მესამე ადგილზეა ტრანსპორტში, სასაწყობო მეურნეობასა და კავშირგაბმულობაში დაფუძნებული საწარმოები და ორგანიზაციები, რომელთა რაოდენობამ 2001 წელს 5,6 ათასი (6,9%) ერთეული შეადგინა და 1997 წელთან შედარებით 2,7 ათასით ანუ 90,1%-ით მოიმატა (იხილეთ ცხრილი №3).

***მესაკუთრეთა ტიპის მიხედვით*** ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის კერძო პირების საკუთრებაზე დაფუძნებულ სუბიექტებზე. მათი რაოდენობა 2002 წლის დასაწყისისთვის 69,8 ათასს აღწევს, ხოლო მესაკუთრის ტიპის მიხედვით დაკავებული სუბიექტების საერთო რაოდენობაში მათი ხვედრითი წილი 85,7%-ია. მათი რაოდენობა 1997 წელთან შედარებით 31,1 ათასით ანუ 80,3%-ით გაიზარდა, ხოლო ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა (იხილეთ ცხრილი №2).

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით საქმიანი აქტივობით დაკავებული სუბიექტების რაოდენობაში პირველი ადგილი 37,0 ათასი ერთეულით (ხვედრითი წილი 45,5%) ინდივიდუალურ საწარმოებს ეკუთვნით. მათი რაოდენობა 2001 წელს წინა წელთან შედარებით 3,3 ათასი ერთეულით ანუ 9,9%-ით, ხოლო 1998 წელთან შედარებით 10,9 ათასით ანუ 41,9%-ით გაიზარდა. რაც შეეხება ხვედრით წილს, იგი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა (იხილეთ ცხრილი №1).

სამეწარმეო საქმიანობის ყველაზე პოპულარული ფორმაა - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს). მათი რაოდენობა 2001 წელს 27,0 ათას ერთეულს აღწევდა და იგი საწარმოთა და ორგანიზაციათა საერთო რაოდენობაში 1/3-ზე მეტს შეადგენს. შპს-ის რაოდენობა 2001 წელს, წინა წელთან შედარებით, 2,3 ათასი ერთეულით ანუ 9,1%-ით, ხოლო 1998 წელთან შედარებით 9,4 ათასი ერთეულით ანუ 53,7%-ით გაიზარდა.

მეტად მოკრძალებულია სახელმწიფოს როლი საქმიანი აქტივობით დაკავებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ჩამონათვალში. კერძოდ, მესაკუთრის ტიპის მიხედვით უპირატესად სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა და ორგანიზაციათა რაოდენობამ 2001 წელს 4,6 ათასი შეადგინა (5,7%) და წინა წელთან შედარებით 189 ერთეულით ანუ 3,9%-ით შემცირდა (იხილეთ ცხრილი №2). ზემოთ მითითებული ცხრილების ანალიზი და სტატისტიკური

**მესაკუთრის ტიპის მიხედვით უპირატესად სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა და ორგანიზაციათა რაოდენობამ 2001 წელს 4,6 ათასი შეადგინა (5,7%).**



ბიულეტენი №70 ივლისი 2002 წ.

გამოკვლევები აჩვენებენ, რომ საქმიანი აქტივობით დაკავებულ სუბიექტთა 85-90% (69,2 ათასი) არასახელმწიფო საკუთრებისაა, საიდანაც 3,0% მსხვილ საწარმოებზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 12,2 ათასი საწარმოდან 20-22% დიდ საწარმოებზე მოდის. ამრიგად, აშკარაა სხვაობა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ ბიულეტენს - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა - 2001" და ამავე დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკვლევების მონაცემთა შორის. კერძოდ, პირველ შემთხვევაში სახელმწიფო სექტორში მხოლოდ 4,6 ათასი სამეწარმეო სუბიექტია, ხოლო გამოკვლევების მიხედვით 12,2 ათასია. ყოველივე ეს აიხსნება მონაცემთა ბაზის დიდი სხვაობით. ოფიციალურ ბიულეტენში წარმოდგენილი მონაცემები ემყარება საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიან სახელმწიფო რეესტრს, რომლის აქტუალიზაცია მარეგისტრირებელი (სასამართლო, საგადასახადო ორგანოები, იუსტიციის სამინისტრო) და სხვა ორგანოებიდან გამოგზავნილი დოკუმენტაციის საფუძველზე ხორციელდება. ამჟამად ერთიანი სახელმწიფო რეგისტრის მონაცემები ოპერატიულობის და მოცულობის თვალსაზრისით სრულყოფას საჭიროებს, რაც განპირობებულია მარეგისტრირებელი ორგანოების მიერ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 18 თებერვლის №57 ბრძანებულების „საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკური რეგისტრის შექმნის, წარმოებისა და გამოყენების შესახებ" მოთხოვნების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით. ზემოთ აღნიშნული აქტებით მარეგისტრირებელ ორგანოებს ევალებათ საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს ყოველი თვის 5 რიცხვამდე გაუგზავნონ სათანადო ინფორმაცია დარეგისტრირებული სუბიექტების შესახებ. მოქმედი კანონმდებლობის არაჯეროვნად შესრულებაში თავისი წვლილი საგადასახადო ორგანოებსაც მიუძღვით, რაც უმოკლეს დროში მოითხოვს გასწორებას.

**ამჟამად ერთიანი სახელმწიფო რეგისტრის მონაცემები ოპერატიულობის და მოცულობის თვალსაზრისით სრულყოფას საჭიროებს, რაც განპირობებულია მარეგისტრირებელი ორგანოების მიერ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის და საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 18 თებერვლის №57 ბრძანებულების „საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკური რეგისტრის შექმნის, წარმოებისა და გამოყენების შესახებ" მოთხოვნების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით.**

## საგადასახადო შეღავათები

სახელმწიფო საკუთრების მქონე საწარმოების უმეტესობა სხვადასხვა სახის საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს. საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამეწარმეო საქმიანობის მასტიმულირებელ ისეთ საგადასახადო შეღავათებს, რომელთა კვალიფიცირებული და მართლზომიერი გამოყენება უდაოდ პრიორიტეტულ საგადასახადო რეჟიმს უქმნის სამეწარმეო სფეროში დასაქმებულ ცალკეულ სუბიექტებს.

აღნიშნული მოსაზრების ნათელი მაგალითია საქართველოს საგადასახადო კოდექსი. კერძოდ: დამატებული ღირებულების გადასახადში - საქართველოს საგადასახადო კოდექსის 101-ე მუხლის თანახმად დამატებული ღირებულების გადასახადიდან თავისუფლდება: სამკურნალო ფარმაცევტული ნედლეულის მიწოდება ან/და იმპორტი; რელსების, სარადარო კავშირგაბმულობისა და სანავიგაციო აღჭურვილობის იმპორტი, აგრეთვე განსაზღვრული სახის მანქანა-დანადგარების სახით ძირითადი საშუალებები, ისევე როგორც იურიდიული პირის სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიწოდება; საექსპორტო პროდუქციის დასამზადებლად განკუთვნილი ნედლეულისა და ნახევარფაბრიკატების, აგრეთვე ტარაშესაფუთი მასალის იმპორტი; რეექსპორტისათვის განკუთვნილი საქონლის იმპორტი; „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად განკუთვნილი მოწყობილობა-დანადგარების, სატრანსპორტო საშუალებების, სათადარიგო ნაწილებისა და მასალების იმპორტი.

დღგ-საგან განთავისუფლებული ზემოთ ჩამოთვლილი საქონლისა და მომსახურების აბსოლუტური უმრავლესობა ასევე განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგანაც.

კოდექსის შესაბამისად დადგენილია შემდეგი შეღავათები და განთავისუფლებები:

***საშემოსავლო გადასახადში*** - საგადასახადო კოდექსის 43-ე მუხლი - „საგადასახადო შეღავათები" გადასახადებით არ იბეგრება:

1. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:

ა. არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ და

მასთან გათანაბრებულ დაწესებულებებში დაქირავებით მიღებული შემოსავლები;

ბ. ფიზიკური პირისაგან ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღებული ქონების ღირებულება;

გ. გრანტი, სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო სტიპენდია და სახელმწიფო დახმარება, მათ შორის დახმარება ორსულობისა და მშობიარობის გამო, ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შედეგად შრომისუნარიანობის დაკარგვის ან/და მარჩენალის დაკარგვის გამო;

დ. ალიმენტი;

ე. ბიუჯეტის ხარჯზე გაწეული მატერიალური დახმარება და ერთჯერადი განაცემი, აგრეთვე სტიქიური უბედურების დროს ბიუჯეტიდან გაწეული დახმარება;

ვ. შემოსავალი, მიღებული ფიზიკური პირის მიერ იმ საკუთარი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციით, რომელიც წარმოებულია მოცემული პირის კერძო მეურნეობებში მის სამრეწველო გადამუშავებამდე;

ზ. ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამატი, გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტისა;

თ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მოსამსახურეთა სპეციალური ფორმის ტანსაცმლის ღირებულების ფულადი ანაზღაურება;

კ. ფიზიკური პირის მომსახურებისათვის გაცემული შრომის დაცვისთვის აუცილებელი საშუალებები, რომლებიც განსაზღვრულია საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 146-ე და 147-ე მუხლებით და შრომის მავნეპირობებიან სამუშაოზე და ცხელ საამქროებში მუშაობისა და მოსამსახურეებზე დადგენილი ნორმით გაცემული კვების პროდუქტები და გაზიანი მარილიანი წყალი საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 148-ე და 149-ე მუხლების შესაბამისად;

ლ. ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში გამარჯვებისა და საპრიზო ადგილების დაკავებისათვის სპორტსმენების და მათი მწრთვნელების მიერ მიღებული ფულადი და სხვა სახის ჯილდოები, დაფინანსებული სახელმწიფოს მიერ.

2. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება შემდეგ ფიზიკურ პირთა მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 3000 ლარამდე:

ა. ბავშვობიდან ინვალიდებისა, აგრეთვე I და II ჯგუფის ინვალიდებისა მხედველობის გამო;

ბ. მეორე მსოფლიო ომისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლების მონაწილე საქართველოს მოქალაქეებისა;

გ. პირებისა, რომლებსაც მინიჭებული აქვთ „ქართლის დედის“ საპატიო წოდება;

დ. მარტოხელა დედებისა;

ე. პირებისა, რომელთაც იშვილეს ბავშვი, შვილად აყვანიდან ერთი წლის განმავლობაში.

ვ. პირებისა, რომლებმაც აღსაზრდელად (შვილობილად) აიყვანეს ბავშვი.

3. საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება I და II ჯგუფის ინვალიდების მიერ (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული ინვალიდებისა) კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 1500 ლარამდე.

4. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) პირი თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისაგან, თუ მისი წლიური შემოსავალი 3 000 ლარზე ნაკლებია, ხოლო ერთ- და ორშვილიან პირს საშემოსავლო გადასახადი უმცირდება 50%-ით (ძალაშია 2000 წლის 1 იანვრიდან).

***მოგების გადასახადში.*** საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლი - „საგადასახადო შეღავათები“ მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება:

ა. საქართველოს საპატრიარქოს მიერ რელიგიური დანიშნულებით გამოყენებული ჯვრების, სანთლების, ხატების, წიგნებისა და კალენდრების რეალიზაციით მიღებული მოგება;

ბ. საბიუჯეტო და საქველმოქმედო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა;

გ. ორგანიზაციის მიერ მიღებული გრანტები, საწევრო შენატანები და შემოწირულობები;

დ. საპროთეზო ორთოპედიული საწარმოების პროფილური საქმიანობით მიღებული მოგება;

ე. ინვალიდებისა და მათი რეაბილიტაციისათვის საჭირო ტექნიკურ საშუალებათა წარმოებით მიღებული მოგება;

ვ. ინვალიდთა საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და საწარმოების მოგება, თუ ამ საწარმოებში დასაქმებულთა შორის ინვალიდები შეადგენენ არანაკლებ 70%-ს (უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებებისა და საწარმოებისათვის -არანაკლებ 50%-ისა) და საგადასახადო წლის განმავლობაში ინვალიდებისათვის გადახდილი ხელფასები შეადგენს საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და საწარმოების ხელფასის ფონდის არანაკლებ 70%-ს (უსინათლოთა საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და საწარმოებისათვის - არანაკლებ 50%-ისა). ამ პუნქტის თანახმად მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და საწარმოების მიერ საგადასახადო წლის განმავლობაში ინვალიდებისათვის გადახდილი ხელფასის თანხის სამმაგ ოდენობას;

ზ. საერთაშორისო ორგანიზაციების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა;

თ. საქართველოს ეროვნული ბანკის მოგება;

ი. საქართველოს არარეზიდენტების მიერ დაფუძნებული იმ სანაოსნო (გემთფლობელი)



ბიულეტენი №70 ივლისი 2002 წ.

საწარმოების მიერ მიღებული მოგება, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას და რომელთა გემებიც (გემიც) დაცურავენ საქართველოს სახელმწიფო ალმით;

კ. ენერგიის განახლებადი წყაროების (მზის, ქარის, გეოთერმული, ბიომასის ენერგია და ჰიდროენერგია) ასათვისებელი მოწყობილობებისა და ენერგოდამზოგი საშუალებების (ენერგოდამზოგი ნათურები) წარმოებით და რეალიზაციით მიღებული მოგება (ამოქმედდეს ძალაშია 2000 წლის 1 იანვრიდან);

ლ. მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე არსებული საწარმოების (სავაჭრო საწარმოების გარდა) მოგების ის ნაწილი, რომელიც მიღებულია უშუალოდ ამ ტერიტორიაზე საწარმოთა მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგად.

***ქონების გადასახადში.*** საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლი - „საგადასახადო შეღავათები“ გადასახადებით არ იბეგრება:

ა) ბუნების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის გამოყენებული ქონება;

ბ) მიწა;

გ) მიმოსვლის გზები, საკომუნიკაციო და ელექტროგადამცემი ხაზები;

დ) საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების საეტალონო და სასტენდო მოწყობილობები;

ე) ქონება, რომელიც დადგენილი წესით გადაყვანილია კონსერვაციის რეჟიმზე;

ვ) ორგანიზაციის ქონება, გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;

ზ) ინვალიდების საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და საწარმოების ქონება, ამ კოდექსის 47-ე მუხლის „ვ“ პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად;

თ) საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული და საქრთველოს სახელმწიფო ალმით მცურავი გემები;

ი) „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გამოყენებული ქონება;

კ) მაღალმთიანი რეგიონის ტერიტორიაზე არსებული საწარმოების ამ ტერიტორიაზე არსებული ქონება;

ლ) ამ კოდექსის VII კარით გათვალისწინებული ავტოსატრანსპორტო საშუალებანი.

***მიწის გადასახადში.*** საგადასახადო კოდექსის 143-ე მუხლი - „საგადასახადო შეღავათები“ გადასახადებით არ იბეგრება:

ა. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული მიწებისა;

ბ. სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სასელექციო, ექსპერიმენტული, ჯიშთა გამოცდის ის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის და რომლებზედაც სამუშაოები ფინანსდება ბიუჯეტის სახსრებით;

გ. ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება უსინათლოების, ყრუ-მუნჯების, გონებრივად ჩამორჩენილი და ფიზიკურად განუვითარებელი ბავშვების, ომის ვეტერანთა საზოგადოების, მოხუცთა და ბავშვთა სახლების, მოზარდთა სოციალური ადაპტაციისა და შრომითი რეაბილიტაციის ცენტრების მიერ თავიანთი ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის და ფინანსდება ბიუჯეტიდან. ნაკვეთები გამოყენებული ბავშვთა სახლების, სპეციალური სკოლა ინტერნატების, ბავშვთა სოფლებისა და საბავშვო ბაღების მიერ, რომლებიც უსასყიდლოდ ეწევიან ბავშვთა მოვლა-აღზრდას და განათლების მიცემას, თუ ეს ნაკვეთები არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

დ. ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობები, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიის, კულტურისა და არქიტექტურის ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის, რომელშიც არ იგულისხმება შესასვლელი ბილეთების რეალიზაცია;

ე. ბუნებრივი პარკები, ბოტანიკური და დენდროლოგიური ბაღები, კულტურისა და დასვენების მუნიციპალური პარკები და სასაფლაოები, ზოოლოგიური ბაღები და პარკები, ოკეანარიუმები, სკვერები, ხეივნები, დაცული ტერიტორიები, სატყეო ორგანიზაციები, ასევე, ღია საუწყებო პარკები, ბაღები და ტყე-ბაღები, გარდა ამ ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;

ვ. ქალაქის წყალსაცავები და მათი აკვატორიები, ის მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის და არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ზ. ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრების, გარემოს დაბინძურების კონტროლის სადგურებისა და დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული მიწები;

თ. სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის, ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;

ი. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და გამოუყენებელი სათიბები, საძოვრები, სარეკულტივაციო და სამარაგო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

კ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერი ფენაც სანახევ-

როდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიური მოვლენების შედეგად;

ლ. ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახლად ასათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები - მიღებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში;

მ. ნასოფლარების ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები - დასახლებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში;

ნ. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები,

პრივატიზაციის წესით მიღებულ მიწის ფართობებზე;

ო. ქურთის, ერედვის, თიღვის თემები, სოფლები: ავნევი და ნული - დროებით, კონფლიქტის მოგვარებისა და ეკონომიკური სიტუაციის დარეგულირებამდე;

პ. ის მიწები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების, აეროპორტების, ვერტოდრომებისა აერონავიგაციის უსაფრთხოების ზონებად და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, აგრეთვე ნავსადგურებისათვის პერსპექტიული განვითარების მიზნით დამაგრებული მიწის ნაკვეთები თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

ჟ. სამონადირეო მეურნეობები;

რ. ენერგიის განახლებადი წყაროების (მზის, ქარის გეოთერმული, ბიომასის ენერგია და ჰიდროენერგია) ასათვისებელი მოწყობილობებისა და ენერგოდამზოგი საშუალებების (ენერგოდამზოგი ნათურები) წარმოებისათვის გამოყენებული მიწის ნაკვეთები; (ამოქმედდეს ძალაშია 2000 წლის 1 იანვრიდან)

ს. „მაღალმთიანი რეგიონების სიციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე განლაგებული რაიონებისა და აჭარა-გურიის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი, მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე, ხოლო სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებთ მოცემულ რეგიონებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მიწის გადასახადი უმცირდება 50%-ით (ამოქმედდეს ძალაშია 2000 წლის 1 იანვრიდან);

ტ. „ნავთობისა და გაზის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) საწარმოებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი სხვა მიზნით არ გამოიყენება.

2. დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც შეღავათების მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი მის საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ან მის ნაწილს), ანდა შენობა-ნაგებობებს (ან მათ ნაწილს) იჯარით გადასცემს სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს.

საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი შეღავათების ამგვარი სიმრავლე ართულებს რომელიმე დარგის გამორჩევას. ამის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ მთელი რიგი დარგები სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით. კერძოდ, საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მიწოდებული ოქრო (იმპორტის დროს) არ იბეგრება დამატებული ღირებულების გადასახადით, ხოლო საბიუჯეტო დაწესებულებანი არ იბეგრებიან (ეკონომიკური საქმიანობის გარდა) მიწის, ქონების, მოგების, და დამატებული ღირებულების გადასახადით. შეღავათებით სარგებლობენ ინვალიდების საზოგადოებრივი გაერთიანებები, სამედიცინო სფეროს ორგანიზაციები, ის ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებზედაც ვრცელდება „ნავთობისა და გაზის შესახებ"

**მთლიანობაში ზემოაღნიშნული საგადასახადო შეღავათები მეწარმეობის ხელსაჭრელი გარემოს ჩამოყალიბების მიზნით არის დადგენილი და მათი მეშვეობით სახელმწიფოს მიერ ხორციელდება სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების არაპირდაპირი სუბსიდირება.**

საქართველოს კანონის მოქმედება და ა.შ.

მთლიანობაში ზემოაღნიშნული საგადასახადო შეღავათები მეწარმეობის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბების მიზნით არის დადგენილი და მათი მეშვეობით სახელმწიფოს მიერ ხორციელდება სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების არაპირდაპირი სუბსიდირება. ყველა ზემოთ აღნიშნული შეღავათის დეტალური ანალიზი, მისი საფინანსო-საბიუჯეტო და სხვა ეფექტების გათვალისწინებით, ცალკე განხილვის საგანი შეიძლება გახდეს. ამჟამად კი მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ ამ შეღავათების გამო ბიუჯეტი შემოსავლების მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდის.

განვიხილოთ ზოგიერთი შეღავათის მოქმედების და ოდენობის მოცულობა.

### დღგ-ში მინიჭებული შეღავათები

დღგ-ის გადამხდელებიდან 2001 წელს წარმოდგენილი დეკლარაციების მონაცემებით დაფიქსირდა მთლიანი ბრუნვა 3627,7 მლნ. ლარი; მათ შორის დასაბეგრი ბრუნვა 2169,8 მლნ. ლარი, ნულოვანი განაკვეთიანი ბრუნვა 623,1 მლნ. ლარი და დაუბეგრავი ბრუნვა 834,8 მლნ. ლარი. მთლიან ბრუნვაში ხვედრითი წილი უჭირავს: დასაბეგრ ბრუნვას 59,8%, ნულოვან განაკვეთიან ბრუნვას 17,3% და დაუბეგრავ ბრუნვას 22,9%.





2001 წელს ქვეყნის შიგნით მიწოდებულ საქონელზე (მომსახურებაში) წარმოდგენილი დეკლარაციებით გაანგარიშებული დღგ 206,7 მლნ. ლარს შეადგენს, ანუ დასაბეგრი ბრუნვის 9,5%-ს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ საბაჟოზე გადახდილ დღგ-ს, რომელიც 155,1 მლნ. ლარს შეადგენს, ქვეყანაში დაფიქსირებული დასაბეგრი ბრუნვიდან (2169,8 მლნ. ლარი) სულ დღგ-მ 361,8 მლნ. ლარი, ანუ 16,67% შეადგინა.

დარგობრივ ჭრილში მთლიან ბრუნვაში ყველაზე მეტი ხვედრითი წილით წარმოდგენილია ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 25,2%, საბითუმო და საცალო ვაჭრობა - 19,8%, ენერგეტიკა და წყალმომარაგება - 13,5%, გადამამუშავებელი მრეწველობა - 12,0%, მშენებლობა - 6,0%, ანუ ამ დარგებზე მოდის მთლიანი ბრუნვის 76,5%, ხოლო სხვა 12 დარგზე - 23,5%.

## საგადასახადო შეღავათების გამო, დღგ-ს სახით ბიუჯეტმა დაახლოებით 140 მლნ. ლარი ვერ მიიღო.

წარმოდგენილი დეკლარაციებით გაანგარიშებული დღგ-ს საერთო მოცულობაში ზემოაღნიშნულ დარგებზე მოდის: ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა - 23,0%, საბითუმო და საცალო ვაჭრობა - 16,8%, ენერგეტიკა და წყალმომარაგება - 18,6%, გადამამუშავებელი მრეწველობა - 8,6%, მშენებლობა - 10,4%, ანუ ამ დარგებზე მოდის დღგ-ს მთლიანი მოცულობის 77,4%, ხოლო სხვა 12 დარგზე - 22,6%.

ამრიგად, მთლიან ბრუნვაში დაუბეგრავი ბრუნვის ხვედრითი წილი 22,9%-ს შეადგენს, რაც თანხობრივად 834,8 მლნ. ლარის ტოლია. საგადასახადო შეღავათების გამო, დღგ-ს სახით ბიუჯეტმა დაახლოებით 140 მლნ ლარი ვერ მიიღო.

დარგობრივ ჭრილში მთლიანი დაუბეგრავი ბრუნვიდან ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოდის 407 მლნ. ლარი, ანუ 48,8%, ვაჭრობის სფეროზე 123 მლნ. ლარი, ანუ 14,8%, საფინანსო-საბანკო სისტემაზე 109 მლნ. ლარი, ანუ 13,2%, გადამამუშავებელ მრეწველობაზე 64 მლნ. ლარი, ანუ 7,7%, მომსახურების სფეროზე 29 მლნ. ლარი, ანუ 3,5%, ენერგეტიკაზე 25 მლნ. ლარი, ანუ 3%, მშენებლობაზე 10 მლნ. ლარი, ანუ 1,2%.

საინტერესო უნდა იყოს დღგ-ს დასაბეგრი ბაზის ზოგადი წესის დადგენა. 2001 წლის მონაცემებით, დღგ-ს ხაზით ბიუჯეტმა 355,8 მლნ. ლარი მიიღო (საგადასახადო შემოსავლების 37,3%), რამაც მთლიან შიდა პროდუქტთან (6505,2 მლნ. ლარი) მიმართებაში 5,5% შეადგინა. დღგ-ს რეალური ბაზა, შეღავათებისა და განთავისუფლებების ჩათვლით, მშპ-ის 16,7%-ს ანუ 1086,4 მლნ. ლარს შეადგენს (6505,2 x 16,7%). დავუშვათ, რომ შეღავათებზე, სხვადასხვა სახის საგადასახადო განთავისუფლებებზე აღნიშნული თანხის დაახლოებით ნახევარი მოვიდა. ამ შემთხვევაში დღგ-ს სავარაუდო მოცულობა იქნება 543,2 მლნ. ლარი რეალურად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული დღგ-ს ხაზით მხოლოდ 355,8 მლნ. ლარი იქნა მობილიზებული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში ქვეყნის ბიუჯეტმა სულ ცოტა 187,4 მლნ. ლარით იზარალა, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ დღგ-ს ხაზით დადგენილ საგადასახადო შეღავათებს, რომელიც 2001 წელს 140 მლნ. ლარი იყო, მაშინ ქვეყნის ბიუჯეტმა გაცილებით მეტი შემოსავალი დაკარგა.

### შეღავათიანი რეჟიმით შემოტანილი საქონელი

2001 წელს ქვეყანაში შეღავათიანი რეჟიმით შემოტანილია 275,7 მლნ. აშშ დოლარის ღირებულების საქონელი, მათ შორის ჰუმანიტარული დახმარება - 71,3 მლნ. დოლარი; გრანტი - 20,2 მლნ. დოლარი; უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოების მიერ შემოტანილი საქონელი - 55,1 მლნ. დოლარი და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შეღავათებით შემოტანილი საქონელი - 129,1 მლნ. დოლარი.

აღნიშნული საქონლის ჩვეულებრივი რეჟიმით დაბეგვრის შემთხვევაში, ბიუჯეტი დღგ-სა და საბაჟო გადასახადის სახით დამატებით დაახლოებით 160 მლნ. ლარს მიიღებდა.

### კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანილი ქონება

საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროსთან არსებულ საწარმოთა დროებითი უმოქმედო ძირითადი საშუალებების კონსერვაციის უწყებათაშორისი საექსპერტო საბჭოს მიერ კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანილია 32 საწარმოს ქონება 227,4 მლნ. ლარის ნარჩენი ღირებულებით. აღნიშნული გარემოების გამო მხოლოდ ქონების გადასახადში შეღავათის თანხამ 4,1 მლნ. ლარი შეადგინა.

საგულისხმოა ისიც, რომ მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმაც გასწიეს გარკვეული „საქმიანობა" ამ მიმართულებით. კერძოდ, მათ მიერ კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანილია 22 საწარმოს ქონება, რომლის ნარჩენმა ღირებულებამ 7,6 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო შეღავათმა ქონების გადასახადში 0,2 მლნ. ლარი.

სულ კონსერვაციის რეჟიმზე გადაყვანილია 54 საწარმოს ქონება 235 მლნ. ლარის ნარჩენი ღირებულებით. ქონების გადასახადში შეღავათის მინიჭებით ქვეყნის ბიუჯეტს ასევე 4,3 მლნ. ლარი დააკლდა.

ამასთან აღსანიშნავია, რომ 2002 წლის დასაწყისისათვის მოქმედი მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების ქონება (ძირითადი კაპიტალი) 4,1 მილიარდ ლარს შეადგენდა. იმის გათვალის-

წინებით, რომ ქონების ღირებულება ერთპროცენტიანი განაკვეთით იბეგრება(საგადასახადო კოდექსის 144.1 მუხლი), ქვეყნის ბიუჯეტმა სულ ცოტა 41 მლნ. ლარი უნდა მიიღოს. ამის მიუხედავად, სხვადასხვა შეღავათების გამო, 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ამ სახის გადასახადის ხაზით მხოლოდ 29,7 მლნ. ლარია დაგეგმილი. ამრიგად, შეღავათების გაუქმების პირობებში დამატებით შეიძლება მობილიზიებულ იქნას სულ ცოტა 11 მლნ. ლარი.

## რესტრუქტურიზებული საგადასახადო დავალიანებები

2002 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ვადაგადაცილებულ საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისიის გადაწყვეტილებით, რესტრუქტურიზაციის რეჟიმი გავრცელდა 49 საწარმოზე, რომლებშიც გადავადებული თანხის საერთო მოცულობამ (საგზაო ფონდის გარეშე) 50,6 მლნ. ლარი შეადგინა. აქედან, 35 საწარმოს რესტრუქტურიზებული თანხის გადახდის ვადა მოსული აქვს.

სახელმწიფოს მიერ „სასათბურე" პირობების შექმნა ძველი და არაეფექტურად მომუშავე საწარმოების მიმართ გაუმართლებლად მიგვაჩნია, რადგანაც ეს თავისუფალი კონკურენციის პრინციპს ლახავს.

რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მომუშავე საწარმოთაგან გადავადებული და მიმდინარე გადასახადის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდას ექვემდებარება 46,9 მლნ. ლარი, ფაქტიურად გადახდილია 31,1 მლნ. ლარი.

აღსანიშნავია, რომ „საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურიზაციის წესის შესახებ" საქართველოს კანონი საგადასახადო დავალიანებათა 1-დან 3 წლამდე გადავადებას ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნულ 49 საწარმოს არანაკლებ ერთი წლის ვადით გადაუვადდათ 50,6 მლნ. ლარის ბიუჯეტში გადახდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბანკო კრედიტის წლიური განაკვეთი საშუალოდ 20-24%-ის ფარგლებში მერყეობს, მაშინ მხოლოდ აღნიშნული კანონის მეშვეობით სამეწარმეო სექტორმა ყოველწლიურად არაპირდაპირი დოტაციებისა და შეღავათების სახით 10-12 მლნ. ლარი მიიღო.

| | |
|---|---|
| **დღგ-ს დაუბეგრავი ბრუნვის გამო** | 140 |
| გრანტებით შემოტანილ საქონელზე | 12 |
| **ჰუმანიტარულ საქონელზე** | 45 |
| ინვესტიციებით შექმნილი საწარმოებისათვის | 33 |
| **იმპორტისას მინიჭებული შეღავათებით** | 70 |
| კონსერვაციის რეჟიმის გამო | 4,3 |
| **რესტრუქტურიზებული თანხები** | 50 |
| შეღავათები ბანკის საპროცენტო განაკვეთის გადახდაში | 10 |
| **ქონების გადასახადში არსებული რეზერვები** | 11 |

ამრიგად, საგადასახადო შეღავათები წლიურად დაახლოებით სულ ცოტა 375 მლნ. ლარს შეადგენს, მათ შორის:

შეღავათების სიმრავლე და ამით გამოწვეული ფინანსური შედეგები მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში მეწარმეობა, როგორც ქვეყნის განვითარების ლოკომოტივი, გარდამავალ პერიოდში განხორციელებული თვისობრივი ცვლილებების მიუხედავად, თავის მასშტაბით და შესაძლებლობებით მაინც ვერ ჩამოყალიბდა ეკონომიკის მთავარ სექტორად. ყოველივე ამის გამო, საგადასახადო შემოსავლების ბაზა მცირდება და მისი ზრდის პერსპექტივები ბუნდოვანია.

სახელმწიფოს მიერ „სასათბურე" პირობების შექმნა ძველი და არაეფექტურად მომუშავე საწარმოების მიმართ გაუმართლებლად მიგვაჩნია, რადგანაც ეს თავისუფალი კონკურენციის პრინციპს ლახავს. სახელმწიფო არბიტრის ნაცვლად თვითონ გამოდის სამეწარმეო საქმიანობით აქტიურად დაკავებული სუბიექტი. ასეთი ვითარება ხელს უშლის გადასახადების მობილიზების დამატებითი რეზერვების ამოქმედებას. ამრიგად, სამეწარმეო სფეროს გასაუმჯობესებლად, რაც არ უნდა პარადოქსალური იყოს, საჭიროა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი შეღავათების მოქმედი სისტემა.

## საგარეო სავაჭრო ბალანსის ზეგავლენა

ქვეყნის საწარმოები თავის წარმოებისთვის ნედლეულსა და მასალებზე მოთხოვნის დიდ ნაწილს იმპორტით იკმაყოფილებს, რამაც დადებითი ზეგავლენა იქონია საბაჟო სამსახურების ხაზით აკრეფილი გადასახადების მოცულობაზე. კერძოდ, 2001 წელს საბაჟო დეპარტამენტის ხაზით 278,2 მლნ. ლარი იქნა აკრეფილი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 21,0 მლნ. ლარით ანუ 8,2%-ით ჭარბობს.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ კუთხით გარკვეული რეზერვები არსებობს, მაგრამ მათი რეალიზაცია გართულებულია. აღნიშნული შეიძლება აიხსნას სხვადასხვა შეღავათით, საბაჟო სტატისტიკის მოუწესრიგებლობით, შემოტანილი პროდუქციის არასრული ლეგალიზაციით, კონტრაბანდით და სხვა. საგულისხმო უნდა იყოს ერთი მაგალითი. კერძოდ, 2001 წელს საქართველოში დაფიქსირდა სულ 363,0 ათ. ტონა საწვავის იმპორტი და წარმოება, მათ შორის ბენზინი - 260 ათ. ტონა, დიზელი - 77,0 ათ. ტონა,





ნავთი - 26 ათ. ტონა, მაშინ როცა საწვავზე მოთხოვნილება შეადგენს 700,0 ათ. ტონას, მათ შორის ბენზინზე - 400 ათ. ტონა, დიზელზე - 250,0 ათ. ტონა, ნავთზე - 50 ათ. ტონა. ეს მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ 337 ათ. ტონა საწვავი აღურიცხავი, ანუ არალეგალური არხებით მოხვდა ქვეყნის სარეალიზაციო ქსელში, რის გამოც ბიუჯეტს 98,2 მლნ. ლარის შემოსავალი დააკლდა, მათ შორის 58,7 მლნ. ლარი აქციზის და 39,4 მლნ. ლარი დღგ-ს ხაზით. აღნიშნული ფაქტის დეტალურმა ანალიზმა კიდევ ერთ პარადოქსული ვითარების წინ დაგვაყენა. კერძოდ:

იმ შემთხვევაში, თუ აღრიცხული ანუ ლეგალური საწვავის მთლიანი მოცულობის რეალიზაცია ავტოგასამართი სადგურების მეშვეობით განხორციელდებოდა, მაშინ ბიუჯეტი დამატებით არანაკლებ 3,0 მლნ. ლარის საგადასახადო შემოსავლებს მიიღებდა. ამაზე ნათლად ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემთა ანალიზიც მიუთითებს.

| საწვავი | მოხმარება, ათ. ტ. | საბაჟო ღირებულება ათ. ლარი | ერთეულის ფასი 1 ტონა/ლარი | 2001წ. აღრიცხული იმპორტი და წარმოება ათ. ტ. |
|---|---|---|---|---|
| ბენზინი | 400,0 | 210 000,0 | 525,0 | 260,0 |
| დიზელი | 250,0 | 95 000,0 | 380,0 | 77,0 |
| ნავთი | 50,0 | 20 000,0 | 400,0 | 26,0 |
| ჯამი | 700,0 | 325 000,0 | 1305,0 | 363,0 |

2001 წელს იმპორტირებული და ადგილობრივად წარმოებული საწვავის მთლიანი მოცულობის ღირებულებამ 176,2 მლნ. ლარი შეადგინა, მათ შორის ცალკეული სახეობების მიხედვით:

| | | |
|---|---|---|
| ბენზინი | 136,5 მლნ. ლარი | (260 000 x 525) |
| დიზელ | 29,3 მლნ. ლარი | ( 77 000 x 380) |
| ნავთი | 10,4 მლნ. ლარი | ( 26 000 x 400) |

იმისათვის, რომ მივიღოთ განბაჟებული საწვავის ღირებულება, მის საბაჟო ღირებულებას უნდა დავუმატოთ საბაჟოზე გადახდილი აქციზის გადასახადი - 56,2 მლნ. ლარი, დღგ - 48,6 მლნ. ლარი და გადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის - 11,2 მლნ. ლარი (საქართველოს ეროვნული ბანკის №412 ფორმის მიხედვით). ამრიგად, განბაჟებული საწვავის ღირებულებამ შეადგინა 292,2 მლნ. ლარი (176,2+56,2+48,6+11,2).

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური გამოცემის - „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2001 წელს" - თანახმად, ქ. თბილისში საცალო სავაჭრო ქსელის საწარმოების ბრუნვის მოცულობის ხვედრითმა წილმა 35,8% შეადგინა. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საწვავის მოცულობის არანაკლებ 35,8% ქ. თბილისში იქნა რეალიზებული. აქედან გამომდინარე, ქ. თბილისში რეალიზებული საწვავის ღირებულებამ 104,6 მლნ. ლარი შეადგინა (292,2 მლნ. ლარი x 35,8% = 104,6).

განბაჟებული საწვავი არსებული წესის მიხედვით უნდა მოთავსდეს საცავებში, საიდანაც ხდება მათი სარეალიზაციოდ გატანა აგს-ების მიერ. ავტო გასამართი სადგურები (აგს) საწვავს აღნიშნული საცავებიდან საბითუმო ფასებში ყიდულობენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა ქ. თბილისის საბითუმო ქსელისათვის 2001 წელს მიწოდებული საწვავის ღირებულებამ 104,6 მლნ. ლარი შეადგინა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბითუმო ბაზებმა უნდა გადაიხადონ საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული გადასახადები და იმავდროულად მიიღონ გარკვეული მოგება, მაშინ საბითუმო ქსელი განბაჟებული საწვავის ფასს, შესაბამისად გაზრდის. ასეთმა ზრდამ სულ ცოტა 17% მაინც უნდა შეადგინოს, რათა ყველა აუცილებელი ხარჯი დაიფაროს. ამ შემთხვევაში ქ. თბილისში 2001 წელს რეალიზებული საწვავი საბითუმო ფასებში სულ ცოტა 122,4 მლნ. ლარის (104,6 + 104,6 x 17,0%) ტოლი მაინც უნდა ყოფილიყო.

აგს-ები საბითუმო ბაზებიდან შეძენილ საწვავს საკუთარი ხარჯებისა და მოგების გათვალისწინებით უმატებენ სათანადო თანხას და ახდენენ რეალიზაციას საცალო ქსელში. აგს-ებმა საბითუმო ფასი სულ ცოტა 15%-ით მაინც უნდა გაზარდონ, რომ უზრუნველყონ ყველა აუცილებელი ხარჯის დაფარვა. ამ შემთხვევაში ქ. თბილისში 2001 წელს რეალიზებული საწვავი საცალო ფასებში სულ ცოტა 140,8 მლნ. ლარის (122,4 + 122,4 x 15,0%) ტოლი მაინც უნდა ყოფილიყო.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დღგ-ს დასაბეგრი ბაზა აგს-ებისათვის განისაზღვრება სხვაობით საბითუმო და სარეალიზაციო ფასებს შორის, რაც 18,4 მლნ. ლარს შეადგენს (140,8 - 122,4 = 18,4). აქედან ბიუჯეტს დღგ-ს სახით აღნიშნული თანხის 20%, ანუ 3,68 მლნ. ლარი ეკუთვნის (18,4 x 20%).

აგს-ების უმეტესი ნაწილი მოგებას თავიანთი საქმიანობიდან იღებენ, რაზედაც გადასახადი უნდა გადაიხადონ. ჩვენი ვარაუდით, აგს-ების ერთობლივი შემოსავლიდან საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითების თანხა ერთობლივი შემოსავლის 2/3-ს არ აღემატება, შესაბამისად, მოგების გადასახადის დასაბეგრი ბაზა 6,1 მლნ. ლარის (18,4 - 18,4 x 2/3) ტოლი

იქნება, საიდანაც ბიუჯეტს 1,22 მლნ. ლარი ეკუთვნის (6,1x20%).

სტატისტიკური მონაცემების უქონლობის გამო, ძნელი დასადგენია აგს-ების მიერ დასაფარი ქონებისა და მიწის გადასახადის ოდენობა. ცხადია, რომ მათი გადახდევინება კიდევ უფრო გაზრდის ბიუჯეტის კუთვნილ სახსრებს.

ჩვენი გაანგარიშებით, ბიუჯეტში დღგ-ისა და მოგების ხაზით, სულ ცოტა, 4,9 მლნ. ლარი მაინც უნდა შემოსულიყო, რეალურად კი ბიუჯეტმა 1,9

**ჩვენი გაანგარიშებით, ბიუჯეტში დღგ-ისა და მოგების ხაზით, სულ ცოტა, 4,9 მლნ. ლარი მაინც უნდა შემოსულიყო, რეალურად კი ბიუჯეტმა 1,9 მლნ. ლარი მიიღო. სავარაუდოა, რომ სხვაობა, 3,0 მლნ. ლარის ოდენობით, აგს-ების მეპატრონეთა და სხვათა „ჯიბეებში დაილექა“.**

მლნ. ლარი მიიღო. სავარაუდოა, რომ სხვაობა, 3,0 მლნ. ლარის ოდენობით, აგს-ების მეპატრონეთა და სხვათა „ჯიბეებში დაილექა“.

იმ შემთხვევაში, თუ ოფიციალურად დაფიქსირებული საწვავი (ბენზინი, დიზელი, ნავთი) მთლიანად და მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით დაიბეგრებოდა, მაშინ მისი საშუალო (სამივე სახეობის მიხედვით) სარეალიზაციო ფასი დაახლოებით 1,44 ლარი უნდა ყოფილიყო, რეალურად კი 2001 წლის განმავლობაში მისმა საშუალო ფასმა 0,81 ლარი შეადგინა. ფასთა ასეთი დიდი სხვაობა ძირითადად კონტრაბანდული გზით შემოტანილი 337 ათასი ტონა საწვავის ზეგავლენით არის განპირობებული.

ჩამოყალიბდა პარადოქსალური ვითარება, როდესაც შესაბამისი უწყებების მცდელობებს საწვავის სრული დაბეგვრის რეჟიმში მოსაქცევად, უთუოდ მოჰყვება უარყოფითი ეფექტი ეკონომიკისათვის (მოკლევადიან პერიოდში) და

**ადგილობრივი სამრეწველო წარმოება ზრდის იმპორტზე მოთხოვნას, მაშინ როცა საექსპორტო პოტენციალი ძალზე მცირეა (13,0%).**

მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნეგატიური დამოკიდებულება, რადგანაც საწვავზე ფასების ზრდა სხვა საქონელზე ფასების ზრდის ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ქვეყნისათვის მიუღებელი უნდა იყოს ფასწარმოქმნის მექანიზმის უხეში დეფორმაცია, რომელიც საბაზრო ეკონომიკისა და სამეწარმეო საქმიანობის საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს. საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში აღნიშნული ვითარების შენარჩუნება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის დამანგრეველი იქნება.

## სამეწარმეო გარემო

ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, დასაქმებულთა უმრავლესობა, როგორც წესი, სოფლის მეურნეობაში, მცირე და საშუალო საწარმოებში მუშაობს. მათგან უმრავლესი კი „ჩრდილშია“, ანუ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემის დაფიქსირება ვერ ხერხდება. ამასთან, დასაქმებულთა უმრავლესობას ხელფასს არარეგულარულად უხდიან და იგი ნაკლებადაა დაკავშირებული წარმოების ეფექტიანობასთან. ამის გამო, მოსახლეობის ძირითადი ნაწილის შემოსავალი არასტაბილურია და დიდი ამპლიტუდით მერყეობს. უმეტესი ნაწილი კუთვნილ გასამრჯელოს იღებს ბუღალტერიაში გატარების გარეშე, რაც საბანკო სექტორის იგნორირებას ნიშნავს. ყოველივე ამის გამო, საშემოსავლო გადასახადის გამოანგარიშების ბაზა ძნელი დასადგენია.

ამას უნდა დავუმატოთ, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა შემოსავლებს ბაზრობებსა და სხვადასხვა სახის სავაჭრო წერტილებში ხარჯავს, ისინი კი გაყიდვებისა და სასაქონლო ნარჩენების თაობაზე ზუსტ ანგარიშგებას არ აწარმოებენ, რაც ზუსტი მონაცემების მოსაპოვებლად კიდევ ერთი სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გამო, ვერ ხერხდება მოსახლეობის ვერც შემოსავლების და ვერც ხარჯების მეტ-ნაკლებად ზუსტი დადგენა. აღსანიშნავია, რომ საშემოსავლო გადასახადი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის **(OECD)** წევრ-სახელმწიფოებში საგადასახადო შემოსავლების მთლიან მოცულობაში 26-30%-ის ფარგლებში მერყეობს (სხვადასხვა წლების მიხედვით), ხოლო საქართველოში იგივე მაჩვენებელი 1995-2001 წლებში 14-17%-ის ფარგლებში იყო.

აღნიშნული პრობლემების მოუწესრიგებლობის გამო, ხელისუფლებას ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტურად გასატარებლად მნიშვნელოვანი ბერკეტი აქვს ხელიდან გამოცლილი და მცდელობები - მივაღწიოთ ქვეყნის განვითარების ტემპების მნიშვნელოვან ზრდას, ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული შემოსავლებისა და ხარჯების ზუსტი დადგენის გარეშე, ძნელად წარმოსადგენია.

ასევე აღსანიშნავია, რომ საწარმოთა მიერ





საქონლისა და მომსახურების მიწოდების ყველაზე გავრცელებული ფორმა (57,5%) მყიდველთან უშუალოდ ბაზარზე გარიგებაა. საწარმოთა მიერ საქონლის და მომსახურების შესყიდვების ყველაზე

**საშემოსავლო გადასახადი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ-სახელმწიფოებში საგადასახადო შემოსავლების მთლიან მოცულობაში 26-30%-ის ფარგლებში მერყეობს (სხვადასხვა წლების მიხედვით), ხოლო საქართველოში იგივე მაჩვენებელი 1995-2001 წლებში 14-17%-ის ფარგლებში იყო.**

გავრცელებული - 46,9%, ფორმა ასევე მყიდველებთან უშუალო ბაზარზე გარიგებაა. ამასთან, მყიდველსა და გამყიდველს შორის ბაზარზე განხორციელებული ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები ნაკლებადაა აღრიცხული, შესაბამისად, ამის გამო ვერ ხვდება დასაბეგრ ბაზაში.

ამ მხრივ, საკმაოდ დაბალია ქვეყნის მასშტაბით საგადასახადო ორგანოების მიერ 2001 წლის განმავლობაში გამოვლენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მაჩვენებლები და შესაბამისი ოქმების მიხედვით დარიცხული და ამოღებული თანხების ოდენობა.

ჩვენი აზრით, ამგვარ ვითარებაში პრაქტიკულად შეუძლებელია აღრიცხვიანობის პროცესის მოწესრიგება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირება და, შესაბამისად, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდის რეალურად მიღწევა. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით და ამ სფეროში აღრიცხვიანობის მოწესრიგების მიზნით მომზადებულია კანონპროექტი „მოსახლეობასთან ფულადი ანგარიშსწორების განხორციელებისას საკონტროლო-სალარო აპარატების დანერგვისა და გამოყენების შესახებ.“ წარმოდგენილი კანონპროექტით ეკონომიკური საქმიანობის მიმდევარი პირების მიერ მოსახლეობასთან სავაჭრო ოპერაციების და მომსახურების განხორციელებისას ნაღდი ფულით ანგარიშსწორება უნდა იწარმოოს მხოლოდ ფისკალური მეხსიერების საკონტროლო-სალარო აპარატების გამოყენებით. აღნიშნული კანონის მიღების შემთხვევაში მისი მოთხოვნების ცხოვრებაში რეალურად გატარება რომელიმე ერთი ან ორი უწყების პასუხისმგებლობაზე არ უნდა იქნას მინდობილი. ამ კანონის აღსრულებით საზოგადოების თითოეული წევრი უნდა იყოს დაინტერესებული.

## შრომის ანაზღაურება და მოტივაცია

2001 წელს ეროვნულ მეურნეობაში დასაქმებულთა ნომინალურმა საშუალო თვიურმა ხელფასმა 90,1 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე (86,1 ლარი) 4,6%-ით მეტია. საქართველოს ქალაქების გასაშუალოებული ფასების მიხედვით დღემდე მოქმედი ნორმებით გაანგარიშებულმა საარსებო მინიმუმმა შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის 118,0 ლარი შეადგინა, ხოლო საშუალო მომხმარებლისთვის 103,5 ლარი. აღნიშნული მაჩვენებლები, შესაბამისად, 3,1%-ით და 3,0%-ით მეტია 2000 წლის ანალოგიურ მაჩვნებლებზე.

ამრიგად, ქვეყანაში არსებული საშუალო თვიური ხელფასი ნაკლებია საარსებო მინიმუმის მოცულობაზე, რაც დამატებითი პრობლემების მაუწყებელია (იხილეთ ცხრილი №5).

შრომის ანაზრაურებამ ჯერ კიდევ ვერ აღიდგინა კვლავწარმოების, სტიმულირების და სოციალური ფუნქცია. ქვეყანაში გატარებულმა ღონისძიებებმა ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტა მოსახლეობის შემოსავლების რეგულირების საკითხი. რეალური ხელფასის შემცირების პირობებში შემცირდა დიფერენციაციის დონე შრომის ანაზღაურებაში, რამაც მაღალკვალიფიციური შრომის ეკონომიკური სტიმულები საგრძნობლად შეამცირა.

ხელფასების დაბალი დონითაა განპირობებული ის, რომ შემოსავლების საერთო სტრუქტურაში ხელფასის წილი 34,5%-ს არ აღემატება და მნიშვნელოვნად ჩამორჩება კრიტიკულ დონეს (60%). ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ საქართველოში შრომის მოტივაციის აღდგენა ძალზე ნელი ტემპებით მიმდინარეობს.

თანამედროვე პირობებში ხელფასს დაკარგული აქვს მასტიმულირებელი ფუნქცია და იგი გადაიქცა ერთგვარ სოციალურ გასაცემლად, რომელიც არაა დაკავშირებული შრომის რაოდენობასა და ხარისხთან.

მკაფიოდ არ არის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებები და მისი შესაბამისობა ოფიციალურად დეკლარირებულ მიზნებთან. დღეისათვის შრომის ანაზღაურების მიმდინარე დონე საშუალო ანაზღაურების 24,7%-ია მაშინ, როდესაც სოციალური ორიენტაციის საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში აღნიშნული თანაფარდობა არანაკლებ 40%-ს შეადგენს.

ძირითად სამუშაო ადგილებზე დაბალი ანაზღაურება, მისი გაცემის ქრონიკული შეფერხებები უარყოფითად მოქმედებს მუშაკის დამოკიდებულებაზე თავისი ფუნქციონალური მოვალეობის შესრულებაზე და ხშირ შემთხვევაში მუშაკის მეორადი დასაქმების ძირითად მოტივს წარმოადგენს.

შეუძლებელია უსასრულოდ გრძელდებოდეს მდგომარეობა, როდესაც ხელფასი არ წარმოადგენს შრომის მოტივაციის, ხოლო მინიმალური ხელფასის ნორმატივი შემოსავლების გადანაწილების საფუძველს. აღნიშნული მდგომარეობა არის ქვეყანაში არსებული ეკონომიკური აქტივობის და კორუფციის მაღალი დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი.

**თანამედროვე პირობებში ხელფასს დაკარგული აქვს მასტიმულირებელი ფუნქცია და იგი გადაიქცა ერთგვარ სოციალურ გასაცემლად, რომელიც არაა დაკავშირებული შრომის რაოდენობასა და ხარისხთან.**

მიუხედავად იმისა, რომ 1995-2000 წ.წ. მინიმალური ხელფასი გაიზარდა 4,7-ჯერ, დღეისათვის ის არ წარმოადგენს ადეკვატურ სოციალურ გარანტს და მან თანდათან მიიღო ტექნიკური ნორმატივის ფორმა.

ევროპის და მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში დადგენილია თანაფარდობა საშუალო და მინიმალურ ხელფასს შორის, ასეთივეა ევროპის სოციალური ქარტიის მოთხოვნაც, კერძოდ, მინიმალური ხელფასი უნდა შეადგენდეს საშუალო ხელფასის 68%-ს. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ეს თანაფარდობა ასეთია: დიდ ბრიტანეთში მინიმალური ხელფასი შეადგენს საშუალო ხელფასის 75%-ს, საფრანგეთში - 65-69%-ს, ბელგიაში - 79%-ს, ნიდერლანდებში - 69%-ს, საქართველოში - 24,7%-ს. აღსანიშნავია, რომ დსთ-ს სხვა ქვეყნებშიც საკმაოდ დაბალია მინიმალური ხელფასის წილი საშუალო ხელფასში, კერძოდ სტატისტიკური მონაცემებით რუსეთში 5,5%-ია, ტაჯიკეთში 5,7%, ყაზახეთში 18,5%, სომხეთში 22,8%, უკრაინაში 47,4%.

ამ მიმართულებით გარკვეულ გაუმჯობესებაზე მიუთითებს 2001 წლის შედეგების ანალიზი. კერძოდ, აღინიშნებოდა ერთობლივი მოთხოვნის და აქედან გამომდინარე, ეკონომიკური აქტივობის ზრდა, რაზეც დაქირავებულ მუშაკთა ხელფასის ზრდა მეტყველებს. მეწარმეთა 29,3% აღნიშნავს, რომ გაუზარდა ხელფასი დაქირავებულ მუშაკებს, ხოლო 7,9% კი კლებას აფიქსირებს. ამაზევე მიუთითებს შემოსავლების ზრდა სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახლმწიფო ფონდში 140,0 მლნ. ლარიდან 2000 წელს, 155,4 მლნ. ლარამდე 2001 წელს (11%).

**ამ შემთხვევაში თითოეულ ფიზიკურ პირზე თვეში არანაკლებ 33 ლარი უნდა იქნას გადახდილი, რაც საბოლოო ჯამში 263 მლნ. ლარს უდრის ანუ სოციალური გადასახადის რეალური ბაზა გეგმას სულ ცოტა 89 მლნ. ლარით აჭარბებს.**

2002 წლის განმავლობაში მეწარმეთა თითქმის 40% ვარაუდობს მუშაკთა ხელფასების მცირედ გაზრდას, რაც მეტი იქნება განვლილი წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ამიტომ სოციალური უზრუნველყოფის ერთიან სახელმწიფო ფონდში სახელმწიფო ბიუჯეტის კანონით დადგენილი პარამეტრი 173,8 მლნ. ლარი შესრულება რეალურია, მით უფრო რომ რეზერვები აქაც არსებობს.

სოციალურ გადასახადში რეზერვების არსებობაზე მიუთითებს შემდეგი ფაქტი. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით ეკონომიკაში დასაქმებულთა რიცხოვნებამ 2001 წელს 1,9 მლნ. კაცი შეადგინა, საიდანაც 35% ანუ 665,0 ათასი დაქირავებით დასაქმებულებზე მოდის. სოციალური გადასახადში შეღავათების არ არსებობის პირობებში (საგადასახადო კოდექსის 187-ე მუხლი) დაქირავებით დასაქმებულებიდან ბიუჯეტის კუთვნილი თანხა სულ ცოტა (იმ შემთხვევაში თუ თითოეულ ფიზიკურ პირზე თვეში არანაკლებ 16 ლარი იქნება გადახდილი) 127,7 მლნ. შეადგენს ანუ გეგმის 73,5%-ს.

როგორც აღინიშნა, 2001 წელს ნომინალურმა საშუალო თვიურმა ხელფასმა 90,1 ლარი შეადგინა. დამქირავებელმა აღნიშნული თანხის დაქირავებულისათვის გადახდის პირობებში მასზე სახელფასო ფონდში არანაკლებ 123,3 ლარი უნდა გაითვალისწინოს, რათა 27%-ანი სოციალური გადასახადის ბიუჯეტში ჩარიცხვის შემდეგ ზემოთ აღნიშნული თანხა იქნას მიღებული. ამ შემთხვევაში თითოეულ ფიზიკურ პირზე თვეში არანაკლებ 33 ლარი უნდა იქნას გადახდილი, რაც საბოლოო ჯამში 263 მლნ. ლარს უდრის ანუ სოციალური გადასახადის რეალური ბაზა გეგმას სულ ცოტა 89 მლნ. ლარით აჭარბებს.

დარჩენილი 1,2 მლნ. თვითდასაქმებულთა სოციალური გადასახადით დაბეგვრის საკითხი ცალკე განხილვას საჭიროებს. პირველადი ანალიზი აჩვენებს, რომ თვითდასაქმებულთა გარკვეული კატეგორია სოციალური გადასახადის გადახდას ექვემდებარება. ასევე აღსანიშნავია, რომ ამ სფეროში მოქმედი კანონმდებლობა „დიდი შემოქმედებითი თავისუფლების" საშუალებას იძლევა დასაბეგრ ბაზაში ამა თუ იმ კატეგორიის თვითდასაქმებულთა მიკუთვნების საქმეში. ამიტომ გარკვეული სამუშაოები ამ კუთხითაც არის გასატარებელი. ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობისთვის და გადასახადების ზრდისათვის აუცილებელია შიდა წარმოების ნედლეულსა და მომსახურებაზე მოთხოვნის გაფართოება, საექ-





სპორტო პროდუქციის მოცულობის ზრდა და ქვეყნის სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესება. ამასთან აღსანიშნავია, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ ერთ სულ მოსახლეზე 2001 წლის შედეგების მიხედვით 1400 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 8,6%-ით მეტია. ჩვენი შეფასებით, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ხვედრითი წილის 8,6 პროცენტიანი ზრდა ერთობლივი მოთხოვნის 2-3%-ით გაზრდას გამოიწვევს. ამიტომ, ქვეყნის შიგნით წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის (ფასი, ხარისხი და ა.შ.) ამაღლების და მისი რეალიზაციის გაუმჯობესების პირობებში პერსპექტიული იქნება როგორც ეკონომიკური ზრდა, ასევე საგადასახადო შემოსავლების მატებაც. მაშასადამე, ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრალურ პრობლემად დღეს ქვეყანაში გადახდისუნარიანი მოთხოვნის ფორმირება უნდა იქნეს მიჩნეული.

**ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრალურ პრობლემად დღეს ქვეყანაში გადახდისუნარიანი მოთხოვნის ფორმირება უნდა იქნეს მიჩნეული.**

## კორუფცია

ბიზნესის გარემოს მნიშვნელოვნად აუარესებს არაოფიციალური გადასახადების მოცულობა. ამ მხრივ, 2001 წელს სამეწარმეო გარემო აშკარად გაუარესდა. ამაზე საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სოციოლოგიური გამოკვლევაც მიუთითებს, რომლის თანახმად არაოფიციალური გადასახადების მატებას 2000 წელთან შედარებით 21,5% მეწარმე ასახელებს, კლებას კი მხოლოდ 3,5%. 2000 წელს აღნიშნული მაჩვენებელი შესაბამისად 7,7 და 4,2 პროცენტი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ 2000 წელს მეწარმეთა უმრავლესობა (72,8%) ამტკიცებდა, რომ არაოფიციალური გადასახადების ფაქტებს ადგილი საერთოდ არ ჰქონდა, ხოლო 2001 წელს მათგან უკვე მხოლოდ 32,7%-მა დაასახელა იგივე, ანუ მატება 2,3-ჯერაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ არაოფიციალური გადასახადი თავისი არსით კორუფციულ ელემენტებს მოიცავს, მაშინ კორუფციის დონე საქართველოში 2001 წელს 2000 წელთან შედარებით, შემცირების ნაცვლად, სამეწარმეო სფეროში 2,3-ჯერ გაიზარდა. შექმნილია ვითარება, როდესაც კორუფციის გამო არა მარტო ეკონომიკის ეფექტური ფუნქციონირებაა შეუძლებელი, არამედ თვით სახელმწიფი მანქანის. კორუფციის გამო მკვეთრად ეცემა საბაზრო მექანიზმების ქმედითუნარიანობა, როდესაც ბაზრის უხილავ ხელს კორუფციის უხილავი ხელი მართავს.

**2000 წელს ქრთამის სახით გადამხდელების მიერ გადახდილია დაახლოებით 70 მლნ. ლარი, რითაც ქვეყნის ბიუჯეტმა საშუალოდ 700 მლნ. ლარი დაკარგა.**

**კორუფციის დონე საქართველოში 2001 წელს 2000 წელთან შედარებით, შემცირების ნაცვლად, სამეწარმეო სფეროში 2,3-ჯერ გაიზარდა.**

2002 წლის იანვარში გამართულ საქართველოს მთავრობის სხდომაზეც აღინიშნა, რომ 2000 წელს ქრთამის სახით გადამხდელების მიერ გადახდილია დაახლოებით 70 მლნ. ლარი, რითაც ქვეყნის ბიუჯეტმა საშუალოდ 700 მლნ. ლარი დაკარგა. აღსანიშნავია, რომ ამ თანხის დაახლოებით 30-40 პროცენტი ნაწილდება ადგილობრივ ხელისუფლებაზე, მმართველობის ორგანოებზე, ძალოვან სტრუქტურებზე, შიდა მაკონტროლებლებზე და ა.შ. ამის გამო იკარგება საბიუჯეტო შემოსავლების სახით მისაღები 210-280 მლნ. ლარი.

მეწარმეთა უმრავლესობა არ მოელის ვითარების რადიკალურ გამოსწორებას და თვლის, რომ მათ კვლავ მოუწევთ არაოფიციალური გადასახადების გადახდა, უფრო მეტიც, მათი უმრავლესობა მოელის მის გაზრდას ან უცვლელობას. ყოველივე ეს კი, ეკონომიკური გარემოს შედარებით გაუარესებაზე მიუთითებს.

არაოფიციალური გადასახადების ოფიციალურად გადაქცევისაკენ მიმართული ნებისმიერი ძალისხმევა დიდ წინააღმდეგობას აწყდება, რადგან მანამდე ოფიციალურ დაბეგვრაში არმოქცეული თითოეული სასაქონლო ჯგუფზე ადმინისტრირების ღონისძიების გამკაცრებასთან ერთად პროგრესულად მცირდება ამ სასაქონლო ჯგუფებიდან მობილიზებული არაოფიციალური გადასახადების რაოდენობა, რაც პრობლემას უქმნის ე.წ. „შავი ფულის" მიმღებ მაღალი თანამდებობის პირებს და ორგანიზაციებს. ნაწილობრივ ამით არის გამოწვეული საგადასახადო შემოსავლების მობილიზების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გამკაცრებული ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ერთ დროს წამოყენებული კატეგორიული მოთხოვნები საგადასახადო ინსპექციების ორმაგი დაქვემდებარების ან/და ადგილობრივი საგადასახადო ინსპექციების

შექმნის თაობაზე.

მსოფლიო ბანკის გამოკვლევების მიხედვით არაოფიციალური გადასახადების ყველაზე მაღალი წილი იმპორტისას, ექსპორტის განბაჟებისას და იმპორტის სერტიფიცირებისას აღინიშნა. ამ სფეროებში არაოფიციალური გადასახადი 2-დან 10-ჯერ აღემატება ოფიციალურ გადასახადს და, ძირითადად, საქონლის რეალური რაოდენობის დამალვისა და ხელოვნურად გაჭიანურებული საბაჟო პროცედურების დაჩქარებისათვის ხდება გადახდა. იმპორტის დამალვის, კონტრაბანდული საქონლის იმპორტისა და ექსპორტიდან არალეგალური ხარკის მოკრეფის სისტემაში ჩართულია სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები. ჯამურად ამ სისტემაში, სხვადასხვა მონაცემებით, 20-30 მლნ. ლარამდე არაოფიციალური ხარკი იკრიფება, რისი პირდაპირი შედეგია ქვეყნის ბიუჯეტისათვის შემოსავლების სახით დაკარგული 200-300 მლნ. ლარი და უმეტესი სასაქონლო ნომენკლატურის მიხედვით კონტრაბანდული საქონლის შემოდინების მაღალი დონე, რაც განსაკუთრებით გამოხატულია თამბაქოს, ნავთობპროდუქტების, ფქვილის, შაქრის, სარეცხი საშუალებების და სხვა საქონლის მიხედვით.

არაოფიციალური გადასახადების (კანონით გაუთვალისწინებელი ხარჯები) არსებობის ფაქტები ძირითადად არასახელმწიფო (კერძო) საკუთრების საწარმოებზე მოდის, სადაც იგი 72%-ია, ხოლო სახელმწიფო საკუთრების საწარმოებში მხოლოდ 47,7%. არაკანონიერი ხარჯების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი რეგიონების მიხედვით თბილისზე მოდის, ხოლო დარგებს შორის ლიდერია ვაჭრობის სფერო.

ეკონომიკაში არსებული კორუფცია ქვეყნის უსაფრთხოებისათვის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. იგი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი და, ამავდროულად, ეკონომიკაში შექმნილი სიტუაციის შედეგია. ქვეყნის შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე საუბარი და რეალური ეკონომიკური ზრდა მხოლოდ კორუფციის მანკიერი პრაქტიკის აღმოფხვრის შემდეგ იქნება შესაძლებელი. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი - მეწარმეთა ერთი მესამედი აღნიშნავს, რომ 2001 წელს მათმა საწარმომ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა გაზარდა, ხოლო 28,4% აღნიშნავს, რომ მათი საწარმოების მოგება გაიზარდა. აღნიშნული მეტია, ვიდრე იმ მეწარმეთა რიცხვი (26,8%), ვინც თვლის, რომ მათი საწარმოების მთლიანი გამოშვება შემცირდა. პროდუქციის მოცულობისა და საწარმოების მოგების ზრდის მიუხედავად, 2001 წელს, წინა წელთან შედარებით, ბიუჯეტში შეტანილი მოგების გადასახადის მოცულობა 17,0%-ით შემცირდა. ასევე შემცირდა მისი ხვედრითი წილი საგადასახადო შემოსავლებში, კერძოდ, 11,3%-დან 6,7%-მდე. ყოველივე ზემოთ აღნიშნული შესაძლებელია აიხსნას საგადასახადო ადმინისტრირების გაუარესებით ან/და დარჩენილ (დაახლოებით 2/3) საწარმოებში პროდუქციის და მოგების მოცულობის შემცირებით, ან/და იმ პროდუქციის ხვედრითი წილის ზრდით, რომელზედაც საგადასახადო შეღავათები ვრცელდება.

განვიხილოთ ამ პრობლემის ზოგიერთი ასპექტი. როგორც აღინიშნა, საქმიანი აქტიურობით დაკავებული სუბიექტების რაოდენობა 2001 წელს გაიზარდა. ზრდა დაფიქსირდა როგორც მესაკუთრეთა ტიპის და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების, ასევე ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით. ასეთ ზრდას შემოსავლების ადეკვატური ზრდა უნდა მოჰყოლოდა, განსაკუთრებით მოგების ხაზით.

№1-6 ცხრილების ანალიზი აჩვენებს, რომ გაიზარდა გადასახადების გადამხდელთა რაოდენობაც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით. კერძოდ, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები, სააქციო საზოგადოებები, ინდივიდუალური საწარმოები და კოოპერატივები. ასე, მაგალითად, თუ 2000 წელს მათმა საერთო რაოდენობა 63,0 ათასი ერთეული იყო, 2001 წლისათვის ის 5,9 ათასით ანუ 5,4%-ით გაიზარდა და 68,9 ათას ერთეულს გაუტოლდა (იხილეთ ცხრილი №1).

ლოგიკურად, თუ ეკონომიკური საქმიანობით დაკავებული ორგანიზაციათა რაოდენობა მატულობს, ესე იგი მათი საქმიანობა მომგებიანია. თუ სამეწარმეო სუბიექტების ზრდას არ მოჰყვება შემოსავლების ანუ მოგების ზრდა (ამ შემთხვევაში სულ ცოტა მათი ზრდის ტემპის ნახევარით მაინც), მაშინ ძნელი იქნება მოიძებნოს რაციონალური პასუხი კითხვაზე - რა სარგებლობა მოაქვთ მათ საერთოდ სახელმწიფოსათვის და რაში გამოიხატება ეს სარგებელი საზოგადოებისათვის.

იმის გამო, რომ ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს გარკვეული დარგებისათვის საგადასახადო შეღავათებს, თეორიულად არსებობს ალბათობა, რომ მოგების გადასახადის მთლიანი მოცულობის შემცირება გამოწვეულია იმ საწარმოთა ხარჯზე, რომლებიც ამ დარგებში ფუნქციონირებენ. ეს დარგებია - სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ფინანსური მომსახურება და ა.შ.

№2 ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ ვაჭრობაში, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტში; გადამამუშავებელ მრეწველობაში; ტრანსპორტში, სასაწყობო მეურნეობასა და კავშირგაბმულობაში; მშენებლობაში და სასტუმროებსა და რესტორნებში მეწარმესუბიექტთა რაოდენობა 2000 წელს 55,3 ათას ერთეულს უდრიდა, რაც მათი საერთო მოცულობის 74,1%-ის ტოლი იყო. 2001 წელს ამ დარგებში მოქმედ მეწარმე-სუბიექტთა რაოდენობა, შემცირების ნაცვლად, 5,4 ათასი ერთეულით ანუ





9,%-ით გაიზარდა და 60,7 ათას ერთეულს მიაღწია, რაც საერთო მოცულობის 74,5%-ია. ამრიგად, საფუძველი მოგების მოცულობის შემცირებისა 2001 წელს, 2000 წელთან შედარებით, ამ კუთხით არ არსებობს.

ოპონენტების მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნას არგუმენტი იმის თაობაზე, რომ სამეწარმეო სუბიექტები ვერ ახერხებენ მუშაობის ისე წარმართვას, რომ მოგება იქნას მიღებული, მაგრამ ასეთი მოსაზრება ეწინააღმდეგება სამეწარმეო საქმიანობის ძირითად პრინციპებს, თანაც აღნიშნული არარეალურია, რადგანაც სამეწარმეო სუბიექტთა რაოდენობა, შემცირების ნაცვლად, გაიზარდა.

**მთლიან შიდა პროდუქტში ერთი საწარმოს მიერ შეტანილი წვლილის მიხედვით 2001 წელს წინა წელთან შედარებით ყველაზე მეტი ზრდა სასტუმროებზე და რესტორნებზე მოდის - 18,6 ათასი ლარი (28,5%), ხოლო ყველაზე ნაკლები მშენებლობაზე - 1,8 ათასი ლარი (2,0%).**

ზემოთ აღნიშნული საშუალებას გვაძლევს დავსკვნათ, რომ ადგილი აქვს საბაზრო ეკონომიკის ძირითადი პრინციპების უგულვებელყოფას, რადგანაც თუ საწარმო წამგებიანია, იგი უნდა გაკოტრდეს, და თუ ეს არ ხდება, ჩვენ შეგვიძლია დავადგინოთ, თუ რა დაუჯდა ქვეყანას „გაკოტრების საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის არაეფექტური ფუნქციონირება. ჩვენი აზრით, იგი სულ ცოტა 2000 წელსა და 2001 წელს მოგების გადასახადში არსებული სხვაობის ტოლია, რაც 13,6 მლნ. ლარს (80156 - 66543) უდრის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოგების საერთო მოცულობის სიმცირის გამო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები საკმაოდ ბუნდოვანია, რადგანაც იგი არამიმზიდველია და ინვესტიციების სიმცირეს განიცდის. თუ ვერ მოხერხდა ბიზნესისათვის ისეთი სამეწარმეო პირობების შექმნა, რომელიც გაზრდის როგორც ცალკეული (განსაკუთრებით მცირე და საშუალო) საწარმოს მოგებას, ასევე მთლიანი მოგების მოცულობას ზოგადად ამ სფეროსათვის, მაშინ მცდელობები ბიზნესის აღორძინების მიმართულებით სასურველ შედეგს ვერ მოიტანს.

სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება გარკვეულ პრიორიტეტულობას მოითხოვს, ანუ საჭიროა გამოიძებნოს ის დარგები, რომელთა დაჩქარებული განვითარება გამოიწვევს სხვა დარგების აღმავლობას. №6 და №7 ცხრილებიდან ჩანს, რომ 2001 წელს მთლიან შიდა პროდუქტში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობაზე, ნადირობაზე, მეტყევეობასა და თევზჭერაზე მოდის (19,2%), მაშინ როდესაც საქმიანი აქტიურობით დაკავებული სუბიექტების (ორგანიზაციები) რაოდენობის მიხედვით აქ მხოლოდ საერთო რაოდენობის 3,9% მოქმედებს. 2001 წელს მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი წვლილის მიხედვით ამ დარგების თითოეულ საწარმოზე საშუალოდ 389 ათასი ლარი მოდის, რაც 2000 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 4 ათასი ლარით მეტია, ხოლო სხვა დარგებთან შედარებით საუკეთესოა. აღსანიშნავია, რომ ერთი საწარმოს მიერ მთლიან შიდა პროდუქტში შეტანილი წვლილის მიხედვით ზრდა დაფიქსირდა კიდევ 3 დარგში: სასტუმრო და რესტორნები; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება; მშენებლობა. ეკონომიკის სხვა დარგებში კი ამ მხრივ ვითარება გაუარესდა.

მთლიან შიდა პროდუქტში ერთი საწარმოს მიერ შეტანილი წვლილის მიხედვით 2001 წელს წინა წელთან შედარებით ყველაზე მეტი ზრდა სასტუმროებზე და რესტორნებზე მოდის - 18,6 ათასი ლარი (28,5%), ხოლო ყველაზე ნაკლები მშენებლობაზე - 1,8 ათასი ლარი (2,0%).

ეს მაჩვენებლები იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ლოკომოტივად გვევლინება სასტუმროები და რესტორნები. ასეთი ტენდენციის შენარჩუნების პირობებში მოხდება ქვეყანის ეკონომიკის დეინდუსტრიალიზაცია, ასევე სოფლის მეურნეობის, როგორც ეკონომიკის წამყვანი დარგის, დასუსტება, ხოლო საქართველო გადაიქცევა გართობისა და დროსტარების მსოფლიო ინდუსტრიის ერთ-ერთ რიგით შემადგენელ ნაწილად.

შემოსავლებისა და მოგების შემცირებამ თავისი ასახვა ჰპოვა საწარმოების ფინანსურ მდგომარეობაზე. მაგალითად, თუ 1997 წელს მეწარმეთა 43,5% თვლიდა, რომ მათი საწარმოს ფინანსური მდგომარეობა არამდგრადია, 2001 წლისათვის ამ მაჩვენებელმა 62,9% შეადგინა, ანუ იგი 44,6%-ით გაიზარდა. საინტერესო უნდა იყოს 2001 წელს მშპ-ის ზრდის პირობებში რატომ მოხდა მოგების გადასახადის შემცირება? როგორც აღინიშნა, ამის შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა იძლევა. კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 47-ე მუხლი „მოგების გადასახადი" და 273-ე მუხლი „გარდამავალი დებულებები", რომელთა თანახმად დაწესებულია მთელი რიგი შეღავათები მოგების გადასახადში. სახალხო მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ფინანსური მომსახურება და სხვა, განთავისუფლებულია მოგების გადასახადიდან, ხოლო სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით მშპ-ის მოცულობამ 2001 წელს ენერგეტიკის სფეროს

საწარმოებში 2000 წლის 88,1% შეადგინა, ხოლო კვების პროდუქტების, სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ საწარმოებში მხოლოდ 95,2%. მართალია, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია 2001 წელს 2000 წელთან შედარებით 5,6%-ით ანუ 98,6 მლნ. ლარით გაიზარდა, მაგრამ ეს არასაკმარისია ბიუჯეტში ჩასარიცხი მოგების მოცულობის შესამცირებლად, რადგანაც სხვა დარგებში, რომლებშიც არ მოქმედებს შეღავათები ზრდა უფრო მეტი იყო. კერძოდ, მშენებლობაში, ვაჭრობაში, სასტუმროებსა და რესტორნებში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის სფეროში 2000 წელს შექმნილმა მშპ-ის წილმა 2064,1 მლნ. ლარი შეადგინა, ხოლო 2001 წელს ანალოგიურმა მაჩვენებელმა 2213,7 მლნ. ლარს მიაღწია, ანუ მატება 149,6 მლნ. ლარის (7,2%-ის) ტოლია. აღნიშნული მეტია როგორც პროცენტულ, ასევე თანხობრივ ჭრილში, ვიდრე ანალოგიური მაჩვენებელი საგადასახადო შეღავათების მოქმედების არეალის დარგებში.

აღნიშნული თანაფარდობა შენარჩუნებულია სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის მხრივაც. კერძოდ, 2000 წელს სოფლის მეურნეობაში, ნადირობაში, მეტყევეობაში და თევზჭერაში 3,0 ათასი ერთეული სამეწარმეო სუბიექტი საქმიანობდა, ხოლო 2001 წელს მათმა რაოდენობამ 255 ერთეულით ანუ 8,6%-ით მოიმატა და 3,2 ათასი ერთეული შეადგინა. ამასთან, მშენებლობაში, ვაჭრობაში, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტში; სასტუმროებსა და რესტორნებში, ტრანსპორტში, სასაწყობო მეურნეობასა და კავშირგაბმულობაში სამეწარმეო საქმიანობით დაკავებულ სუბიექტთა რაოდენობამ 2001 წელს 50,5 ათასი ერთეული შეადგინა, ეს მაჩვენებელი კი 2000 წლის მონაცემთან შედარებით 4,9 ათასი ერთეულით ანუ 10,8%-ით მეტია. ამრიგად, მოგების ხაზით შემოსულ საგადასახადო შემოსავლებს 2001 წელს კლების საფუძველი ეკონომიკური ფაქტორების გამო არ ჰქონია.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საგადასახადო კანონმდებლობით დაწესებული საგადასახადო შეღავათების გამო, ცალკეული კანონების ქმედითუნარიანობის კოეფიციენტი ძალზე დაბალია და იქმნება ვითარება, როდესაც ვერ ხერხდება შემოსავლების სრულად აკრეფა. არსებული პრობლემის გამარტივების მიზნით პასუხისმგებლობა ხშირად მხოლოდ საგადასახადო ორგანოებს ეკისრებათ, რითაც კიდევ უფრო ილახება მათი პრესტიჟი და მცირდება ქმედითუნარიანობა, ხოლო პრობლემა კონსერვდება. პრობლემის მოგვარების გზები რთულდება იმითაც, რომ ჯერ კიდევ ბევრი არის მანკიერი პრაქტიკის გადმონაშთი ჩვენი უახლოესი წარსულიდან. კერძოდ, მთავრობა ქვეყნის ბიუჯეტის მეშვეობით აწესებს სხვადასხვა სახის პირდაპირ სუბსიდიებს არარენტაბელური დარგებისათვის. მაგალითად, 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მიხედვით საქართველოს ენერგოსისტემის სუბსიდირებისათვის გათვალისწინებულია 13,0 მლნ. ლარი, როცა 2001 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში იგი მხოლოდ 4,0 მლნ. ლარს უდრიდა და ამის მიუხედავად ამ დარგში რეალური ზრდა ვერ მოხერხდა, უფრო მეტიც, დაფიქსირდა 11,9%-ანი კლება. უნდა აღვნიშნოთ, რომ არარენტაბელური საწარმოებისა და დარგების ფუნქციონირების ხელშეწყობა, რომლებიც არაკონკურენტუნარიანი არიან საგადასახადო შემოსავლების, კლების წინაპირობაა.

მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა (სამეწარმეო გარემოს გაუარესება, კორუფცია, კონკურენციის ზრდა და ა.შ.), ქვეყანაში მაინც არის ბიზნესის კეთების სურვილი. კერძოდ, თავისი საქმიანობის გაფართოებას მოქმედ მეწარმეთა ნახევარზე მეტი აპირებს, რაც მეტია, ვიდრე 1997 წელს (49%) და 2000 წელს (50,0%). შეიქმნა პარადოქსული ვითარება, როცა სამეწარმეო გარემო უარესდება, ხოლო ბიზნესის კეთების სურვილი იზრდება. აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმით, რომ მოქმედ მეწარმეთა უმრავლესობას სამეწარმეო სფერო, განსაკუთრებით მისი ზოგიერთი დარგები, მონოპოლიზირებულია ბიზნესმენთა ვიწრო წრის მიერ. ბიზნეს-საქმიანობას ეწევა „რჩეულთა ფენა", რომლებიც სხვადასხვა მანიპულიაციების მეშვეობით აკეთებდნენ და კვალავაც იმედი აქვთ აკეთონ მომგებიანი ბიზნესი. რეალურად ბიზნეს ჯგუფებს აქვთ თავისი საქმიანობის გაფართოების სურვილი, რადგანაც არსებულ სამეწარმეო გარემოში შეუძლიათ მათ ზემოგების შოვნა. მცირე და საშუალო ბიზნესს არანაირი კავშირი არა აქვს ამ პროცესებთან. ეს უკანასკნელნი თავისი წარმოების შენარჩუნებისათვის, მით უმეტეს, დაწყებისათვის, იძულებულნი არიან გამონახონ „თანამშრომლობის" ფორმები მსხვილ ბიზნეს ჯგუფებთან და დაემორჩილონ მათ მიერ ნაკარნახევ თამაშის წესებს. რეალურად ახალი ბიზნესის წამოწყება უკვე არსებულ ბიზნეს ჯგუფებთან შეუთანხმებლად ძნელი წარმოსადგენია და ეს საქმიანობა მემკვიდრეობით ხასიათს იღებს. პრაქტიკულად სამეწარმეო საქმიანობის გაფართოების სურვილი მხოლოდ არსებული ბიზნეს ჯგუფების წევრებს გააჩნიათ და იგი ნაკლებ კავშირშია მეწარმეობასთან, როგორც საზოგადოების მრავალრიცხოვან სოციალურ ფენასთან.

**უკვე არსებულ ბიზნეს ჯგუფებთან შეუთანხმებლად ძნელი წარმოსადგენია ახალი ბიზნესის წამოწყება**

ყოვლივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში არის





ბიზნესმენთა ე.წ. პრივილიგირებული ფენა, რომლებსაც არ სურთ არსებული ვითარების (კორუფციის დონე, კონტრაბანდა და ა.შ.) შეცვლა, რადგანაც არსებულ გარემოში არიან ისინი ჩვეულნი მუშაობას და ზემოგების მოპოვებას. ეგრეთ წოდებულ „პრივილიგირებულ ბიზნესმენებს" არ სურთ ახალი კონკურენტების გაჩენა და ისინი ყველა ღონეს იხმარენ მათი წარმოშობის შესაფერხებლად.

## საბანკო სისტემა

მიუხედავად იმისა, რომ 2001 წელს მეწარმეების მიერ მიმდინარე ანგარიშსწორებისათვის ბანკების გამოყენების სიხშირე 36,6%-მდე გაიზარდა (2000 წელს 34,0% იყო), იგი მაინც ვერ გახდა მათთვის (მეწარმეებისათვის) პრიორიტეტულ ფორმად. აღნიშნულს მრავალი მიზეზი გააჩნია. მათ შორის, ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი მოცულობა, აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობა, ქვეყნის ეკონომიკის დაბალი მონეტიზაციის დონე და სხვა. ამას ემატება საბანკო სექტორის მომსახურების არახელსაყრელობის და მთლიანად საბანკო ქსელის განუვითარებლობა და, აქედან გამომდინარე, ბანკებისადმი უნდობლობა.

მიუხედავად ამისა, საბანკო სექტორში საქმიანობა იყო და კვლავ რჩება მომგებიან ბიზნესად. 2001 წლის 1 იანვრიის მდგომარეობით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ბანკების რაოდენობა 5 ერთეულით შემცირდა და 32 შეადგინა. სამეწარმეო გარემო საბანკო სფეროშიც გართულდა, რადგან ბიზნესის დაწყება სულ უფრო რთული ხდება. კერძოდ, მომხმარებლის ნდობის ამაღლების, საბანკო სექტორის ქმედითუნარიანობის და სტაბილურობის გაუმჯობესების მიზნით მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა ახალი ბანკის დაარსებისას 5 მლნ. ლარამდე გაიზარდა. აღნიშნული მოვლენის მეორე მხარე ის არის, რომ საბანკო ბიზნესი ნელ-ნელა იქცა ელიტარულ ბიზნესად, რომელიც უცხოური ბანკების სუსტი კონკურენციის პირობებში სასათბურე პირობებში ფუნქციონირებს, ანუ აქ მოქმედი კაპიტალი იძლევა ისეთ ზემოგებას, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს მათ მესვეურებს, მაგრამ საბანკო სფერო ეკონომიკის აღმავლობის საჭირო დოზით დაფინანსებას ვერ ახერხებს.

ეროვნული ბანკის მონაცემებით, საბანკო სექტორის საკრედიტო შესაძლებლობანი წლიდან წლამდე იზრდება, თუმცა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის მონაცემების თანახმად, 2001 წლის განმავლობაში ბანკებიდან კრედიტი მეწარმეთა მხოლოდ 14,3%-მა მიიღო, რაც ნაკლებია 2000 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (17,6%), ხოლო მეწარმეთა 80-90% არ, ან ვერ სარგებლობს საბანკო სისტემის მომსახურებით.

ასეთივე მდგომარეობაა შექმნილი სხვადასხვა დარგებში, სადაც სესხის აღების შესაძლებლობა ორჯერაა შემცირებული. გამონაკლისს მხოლოდ ვაჭრობის სფერო წარმოადგენს, სადაც საბანკო კრედიტის აღების სიხშირემ 4,6 პროცენტული პუნქტით მოიმატა. ამის გამო უნდა ვივარაუდოთ, რომ გადასახადების მოცულობა ამ დარგიდან გაიზრდება. იმ პირობებში, როცა ქვეყანაში კრედიტებზე მოთხოვნილება მაღალია, ცხადია, საბანკო კრედიტების ნაკლებადმისაწვდომობა აფერხებს ბიზნესის განვითარებას, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობას და წარმოების ზრდას, რაც სერიოზული უარყოფითი ფაქტორია კონკურენტული გარემოს ფორმირებისათვის და ეკონომიკური ზრდისათვის.

როგორც აღინიშნა, 2001 წლის განმავლობაში კრედიტით მეწარმეთა მხოლოდ 14,3%-მა ისარგებლა, მაშინ როცა კრედიტის აღების საჭიროება საწარმოთა 77,0%-მა დაასახელა. საქართველოს საბანკო სისტემის მიერ ეკონომიკის დაკრედიტებისას შემზღუდველ ფაქტორებად შეიძლება დასახელდეს: - რესურსების მიწოდების დეფიციტურობა; - მოთხოვნის შესაბამისად აქტივებით არასაკმარისი უზრუნველყოფა; - კრედიტების მაღალი საპროცენტო განაკვეთები; - მომსახურების დაბალი დონე; - და ა.შ.

კრედიტებზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობებში საწარმოთა გარკვეულ რაოდენობას მიეცემა თავისი საქმიანობის გაფართოების საშუალება, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკური აქტივობის და გადასახადების მატებას გამოიწვევს.

**2001 წლის განმავლობაში ბანკებიდან კრედიტი მეწარმეთა მხოლოდ 14,3%-მა მიიღო.**

ქვეყნის სამეწარმეო გარემოს კიდევ ერთი თავისებურებაა ეკონომიკის დოლარიზაციის მაღალი დონე. ბანკები თავის საქმიანობას ძირითადად აშშ დოლარებში ახორციელებენ, ანუ საქართველოს საბანკო სისტემის აქტივების და ვალდებულებების დიდი ნაწილი კონცენტრირებულია უცხოურ ვალუტაში. კერძოდ, სისტემაში არსებული მთლიანი ვალდებულებების 82% და მთლიანი აქტივების 65% დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში (2000წ.). უფრო მეტიც, 2001 წლის მონაცემებით, არასამთავრობო სექტორზე საბანკო სისტემიდან გაცემული სესხების სტრუქტურაში 82-85% უცხოურ ვალუტაზე მოდის (იხილეთ ცხრილი №8).

***დეპოზიტებისა და სესხების სტრუქტურის*** ანალიზი გვიჩვენებს, რომ 1997-2001 წლებში დეპოზიტების მოცულობა ლარებში ფაქტობრივად არ შეცვლილა, შესაბამისად, 51,8 და 57,7 მლნ.

ლარი, ანუ ზრდა მხოლოდ 11,4% იყო. რაც შეეხება დეპოზიტების მოცულობას აშშ დოლარებში, იგი 45,2 მლნ. ლარიდან 134,6 მლნ. ლარამდე, ანუ თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. ანალოგიური სურათია სესხების სტრუქტურის ზრდის დინამიკაში: თუ სესხების მოცულობა ლარებში 1997 წელს 89,1 მლნ. ლარს შეადგენდა და 2001 წლისთვის 94,1 მლნ. ლარამდე, ანუ 5,6%-ით გაიზარდა, სესხების მოცულობა აშშ დოლარებში კი 44,1 მლნ. აშშ დოლარიდან 224,7 მლნ. აშშ დოლარამდე, ანუ 5-ჯერ გაიზარდა.

ყოველივე ეს მეტყველებს ლარის, როგორც ფულის ერთეულის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციის (დაგროვების) ფაქტობრივად არარსებობაზე. აქედან გამომდინარე, ძნელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ ქვეყნის ეროვნული ვალუტის არასრულფასოვანი ფუნქციონირება აფერხებს ბიზნესის წარმოებას საქართველოში. ანალიზის შედეგად იკვეთება ტენდენცია, რომ მეწარმეები გაურბიან ფულადი ოპერაციების განხორციელებას ლარებში და მას ძირითადად სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებების გასტუმრებისას იყენებენ. ამრიგად, საბანკო სექტორში მოძრავი ეროვნული ვალუტის უდიდესი ნაწილი საგადასახადო და საბაჟო ორგანოებში სახელმწიფო ვალდებულებების გადახდის დროს ხვდება. თვით საბანკო სისტემის უნარი დამოუკიდებლად, ეკონომიკური ინტერესის გამოყენებით მოიზიდოს ეროვნული ვალუტის ნიშნები საბანკო სფეროში, ძალზე შეზღუდულია. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეს ხდება, ლარები რომელიმე უცხოურ ვალუტაშია დაფიქსირებული.

ცალკე განხილვის საგანია არსებული საპროცენტო განაკვეთების სიდიდე. მეწარმეთა მხოლოდ მეოთხედი მიიჩნევს, რომ ბანკების საპროცენტო განაკვეთი მისაღებია, ხოლო მომსახურების დონით მხოლოდ მათი ნახევარია კმაყოფილი. საბანკო სფეროში არსებული არასახარბიელო ვითარება გამოწვეულია როგორც შიდა პრობლემებით, ასევე უკავშირდება ქვეყანაში დღეისათვის არსებულ სისტემურ პრობლემებს, კერძოდ: - ფინანსური ბაზრის სუსტი განვითარება; - უძრავი ქონების (მათ შორის მიწის) ბაზრის განუვითარებლობა; - გარე ბაზრებთან კავშირების სისუსტე ან საერთოდ არ არსებობა; - უცხოური ინვესტორებისათვის ქვეყნის შიდა ბაზრის ნაკლებადმიმზიდველობა; - საწარმოთა გაკოტრების მექანიზმების აუმოქმედებლობა; - და ა.შ. (კორუფცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა). ყოველივე ზემოთ თქმულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: ქვეყნის საბანკო სისტემის მიერ ფინანსური შუამავლის როლის შესრულება დღეისათვის დაბალ დონეზეა.

**ქვეყნის საბანკო სისტემის მიერ ფინანსური შუამავლის როლის შესრულება დღეისათვის დაბალ დონეზეა.**

## საგადასახადო სისტემისადმი დამოკიდებულება

2001 წელს საქართველოში გადასახადების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის 12,2% იყო. ამასთან, თუ საგადასახადო შემოსავლებში სახელმწიფო სპეციალური ფონდების შემოსავლებსაც გავითვალისწინებთ, მაშინ ეს მაჩვენებელი 14,6%-ს აღწევს (საბიუჯეტო ორგანიზაციების სოციალური გადასახადების გარეშე). აღნიშნული მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება განვითარებული ქვეყნების მაჩვენებლებს. მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (**OECD**) ქვეყნებში ამ მაჩვენებელმა 37%-იან ზღვარს გადააბიჯა. საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი, 1995 წელთან შედარებით (3,7% იყო), საგრძნობი მატებაა. 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის თანახმად აღნიშნული მაჩვენებელი 15%-მდეა დაგეგმილი. ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარე, ეს არც თუ ისე ცუდი მაჩვენებელია. მაგალითად, სახელმწიფო საკუთრების ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ ქვეყნის მშპ-ის 5,3% იქმნება და ისინი მოქმედი კანონმდებლობით მთელი რიგი გადასახადებისაგან განთავისუფლებულია (ქონების, მიწის და ა.შ.). სოფლის მეურნეობაში, მეტყევეობასა და თევზჭერაში 2001 წელს მშპ-ის 19,2% იქნა შექმნილი, რაზედაც ზოგიერთი სახის საგადასახადო შეღავათები გავრცელდა. საგადასახადო შეღავათები მოქმედებს ენერგეტიკის, გაზისა და ნავთობის მოპოვება-გადამუშავებაში, საფინანსო შუამავლობაში და ა.შ. ეს ყოველივე ამცირებს საგადასახადო ბაზას. ამასთან აღსანიშნავია, რომ **OECD**-ს წევრ სახელმწიფოებში განთავისუფლებები და შეღავათები მინიმუმამდეა დაყვანილი; მოქმედებს პრინციპი - ყველა დარგი, საწარმო (საკუთრების ფორმის მიუხედავად) იხდის გადასახადს ქვეყნის ბიუჯეტში და საჭიროების შემთხვევაში იქიდან იღებს დოტაციას ან სხვა ფორმის დაფინანსებას.

2002 წლის დაგეგმილი პარამეტრების შესრულება ბევრ გარემოებაზეა დამოკიდებული, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობაზე. მეწარმეთა უდიდესი ნაწილი (81,0%), მათივე განცხადებით, კარგად იცნობს საგადასახადო კოდექსის ძირითად დებულებებს, საგადასახადო განაკვეთებს და მათი გადახდის წესებს. 1997 წელს იგივეს აღნიშნავდა მეწარმეთა 75%. ყოველივე ეს ხდება საგადასახადო კოდექსში პერმანენტული ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ფონზე. აღსანიშნავია, რომ დღიდან მიღებისა (1997 წლის ივნისი) მიმდინარე წლის 15 მარტის ჩათვლით საგადა-





სახადო კოდექსში შეტანილია 400-ზე მეტი ცვლილება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მეწარმეთა უდიდესი ნაწილი ყურადღებით ადევნებს თვალს კანონმდებლობის ცვლილებებს და აქტიურად მუშაობს თვითგანათლებაზე. ამასთან ერთად, მეწარმეთა უმრავლესობა (88%) უკმაყოფილოა არსებული საგადასახადო სისტემით და მისი არასრულყოფილების სხვადასხვა ასპექტებზე მიუთითებს. ამ მეწარმეთა ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ საგადასახადო კოდექსი თვითონ მოიცავს წინააღმდეგობებს და ბუნდოვან დებულებებს, რაც ხშირ შემთხვევაში სინამდვილეს შეესაბამება. კერძოდ, მეწარმეთა უმრავლესობას ყველაზე მეტად დღგ-ს მაღალი განაკვეთი აწუხებს. მათი აზრით, არსებული განაკვეთი უნდა შემცირდეს, ხოლო ყოველი მე-10 მეწარმე ამ გადასახადის საერთოდ გაუქმების მომხრეა. ჩვენი აზრით, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, როდესაც გადასახადის სრულად გადახდა ეკონომიკურად მომგებიანი გახდება, ვიდრე შემოსავლების დაფარვასთან დაკავშირებული არაოფიციალური ხარჯები. მოკლევადიანი დროის მონაკვეთში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, როგორ განხორციელდება ეს, -გადასახადის დაბალი განაკვეთის მეშვეობით, ადმინისტრირების გაუმჯობესებით თუ სხვა ღონისძიებებით.

**საჭიროა შეიქმნას ისეთი პირობები, როდესაც გადასახადის სრულად გადახდა ეკონომიკურად მომგებიანი გახდება, ვიდრე შემოსავლების დაფარვასთან დაკავშირებული არაოფიციალური ხარჯები.**

მეწარმეთა დაახლოებით 2/3 აცხადებს, რომ მათ არა აქვთ არსებითი პრეტენზია საგადასახადო სამსახურების მუშაობის მიმართ. ამრიგად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს ბიზნესმენები შეეგუენ თამაშის წესებს. ამრიგად, მეწარმეთა დიდი ნაწილი (მათ შორის ისინიც, ვინც თვლის, რომ საგადასახადო სისტემა უვარგისია) ახერხებს გარკვეული გარიგებების განხორციელებას და ბიზნესის წარმართვას. ჩვენი ვარაუდით, მეწარმეთა სულ ცოტა ნახევარი მაინც არის ჩართული კანონსაწინააღმდეგო გარიგებებში საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელ სამსახურებთან. ამიტომ კორუფციასთან ბრძოლა ორივე მიმართულებით უნდა განხორციელდეს. შექმნილია ვითარება, როდესაც ბევრ მეწარმეს კორუფციის გარეშე მუშაობა შეუძლებლად მიაჩნია, რადგანაც თვლიან, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში არაკონკურენტული გარემოს და სხვა ფაქტორების გამო უეჭველად გაკოტრდება. ანალიზით ირკვევა, რომ მეწარმეები პირველ რიგში უკმაყოფილო არიან მაღალი საგადასახადო განაკვეთებით და საგადასახადო კანონმდებლობით არასრულყოფილებით. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა, კანონქვემდებარე აქტების ჩათვლით, გამარტივებისა და ანტიკორუფციული ღონისძიებების თვალსაზრისით საფუძვლიან და სერიოზულ გადასინჯვას საჭიროებს. მეწარმეთა უდიდესი ნაწილი (85%) მიიჩნევს, რომ მათი საქმიანობის წარმატებისათვის გავლენიანი მხარდამჭერის ყოლაა საჭირო, რაც, ბუნებრივია, იწვევს არაოფიციალური გადასახადების წარმოქმნას, გადასახადებისგან თავის არიდებას და წარმოების რეალური მოცულობის დაფარვას. მეწარმეთა საგრძნობი ნაწილისთვის „მფარველობა“-პატრონაჟი გულისხმობს მათი საქმიანობის ნაწილობრივ მაინც ფარულ ხასიათს. ეს მოვლენა ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილ საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაზე მეტყველებს და სახელმწიფო მოხელეების მიერ თავიანთი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების მზარდ მასშტაბებს პირდაპირ უკავშირდება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა გაკეთდეს არჩევანი - დარჩეს თუ არა ვითარება, როცა დაბალი ანაზღაურების მქონე სახელმწიფო მოხელეების ხელში კონცენტრირებულია საკმაოდ დიდი ძალაუფლება, რაც საშუალებას აძლევთ, რომ სერიოზული ზეგავლენა მოახდინონ ხელისუფლების მიერ დასახული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებაზე, თუ გატარდეს რეფორმები, რომლებიც მიმართული იქნება სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემადგენლობის ოპტიმიზაციის, მოტივაციის ახალი ეფექტური სისტემის დანერგვის და ფუნქციების ახლებურად და ეფექტიანად გადანაწილებისაკენ. ჩვენი აზრით, სისტემის შეცვლასთან შედარებით, გაცილებით უფრო ეფექტურია თვით ადამიანის შეცვლა. ადამიანის შეცვლაში ჩვენ არ ვგულისხმობთ ერთი მოხელის მეორეთი შეცვლას (თუმცა აუცილებლობის შემთხვევაში ესეც საჭიროა). ადამიანის შეცვლაში იგულისხმება თვითონ პიროვნების მსოფლმხედველობის გარდაქმნა არსებული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად. რაც შეეხება სახელისუფლებო სისტემას, იგი რეფორმებისა და ადამიანური ფაქტორის თანმხლები ატრიბუტია. აქცენტი

**მეწარმეთა სულ ცოტა ნახევარი მაინც არის ჩართული კანონსაწინააღმდეგო გარიგებებში საგადასახადო და სხვა მაკონტროლებელ სამსახურებთან.**

ადამიანის შეცვლაზე უნდა გაკეთდეს.

ყოველივე ამან უნდა მოგვცეს საგრძნობი დადებითი შედეგი კორუფციის დონის და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შემცირების საქმეში, არსებული სამეწარმეო გარემოს გაჯანსაღებაში და თავისუფალი მეწარმეობის პრინციპების გამყარებაში.

## საერთაშორისო ორგანიზაციების როლი

მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ბოლო 50 წლის მანძილზე მსოფლიო ბანკმა 500 მილიარდ დოლარზე მეტი თანხა გაანაწილა ღარიბი ქვეყნების დასახმარებლად. აქედან პროექტების მხოლოდ 1/3 მოაქვს დადებითი შედეგები და ამჟამად 42 ულარიბესი ქვეყნის ვალი 175 მილიარდ დოლარს აღწევს, რომლის გადახდა მათ არ შეუძლიათ. ამასთან, ამ ქვეყნებში, წარმატებების ნაცვლად, 1980 წელთან შედარებით რეალურად ცხოვრების დონის დაახლოებით 25 პროცენტიანი ვარდნა იქნა დაფიქსირებული.

**ბოლო წლებში საქართველომ მხოლოდ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან (სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) არანაკლებ 500 მლნ. აშშ დოლარი მიიღო.**

ამ ბოლო წლებში საქართველომ მხოლოდ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებიდან (სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი) არანაკლებ 500,0 მლნ. აშშ დოლარი მიიღო. მიუხედავად დახმარების მოცულობის სიდიდისა, მეწარმეთა დაახლოებით 30% თვლის, რომ ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მონაწილეობა საჭირო არ არის. ეს მეწარმეები ურყოფითად აფასებენ ამ ორგანიზაციების საქმიანობას, რაც საკმაოდ დიდი მაჩვენებელია და ცალკე ანალიზს საჭიროებს. უფრო მეტიც, 2001 წლისათვის, ასეთ მეწარმეთა რიცხოვნება, 1997 წელთან შედარებით, დაახლოებით 35%-ით გაიზარდა. ამიტომ მეწარმეთა გარკვეული ნაწილი არაეფექტური ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში და გატარებაში პასუხისმგებლობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებსაც აკისრებს. ამრიგად, საგულისხმოა, რომ საგარეო ვალის დაფარვის და მომსახურების ხარჯები სულ უფრო მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნის ბიუჯეტს და იგი ზრდის ტენდენციით ხასიათდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გულდასმით იქნას შესწავლილი „დიდი შვიდეულის“ ქვეყნების შეხვედრაზე (2001წ. გენუა, იტალია) აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ინიციატივა ღარიბი ქვეყნებისათვის, რომლებსაც ვალის დაფარვის შესაძლებლობები შეზღუდული აქვთ, ტრადიციული სესხების გაცემის პრაქტიკის შეწყვეტის თაობაზე. პრეზიდენტმა ბუშმა წამოაყენა წინადადება ღარიბ ქვეყნებს, სესხების ნაცვლად, მიეცეთ პირდაპირი გრანტები მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის და გადაუდებელი ღონისძიებების გასატარებლად არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის, რაც ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის საფუძველს წარმოადგენს.

ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების აქცენტი უნდა გაკეთდეს ეკონომიკური უსაფრთხოების ისეთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელზე, როგორიცაა ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი. აღნიშნული მაჩვენებელის გაუმჯობესება ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის შემოსავლების მნიშვნელოვანი მატების საფუძველს წარმოადგენს. საქართველოსათვის, როგორც მწირი ფინანსების მქონე ქვეყნისათვის, მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთი გზა ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ეროვნული ეკონომიკის ზრდის მაღალი და მყარი ტემპების მიღწევა და შენარჩუნებაა.

ჩვენი აზრით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უნდა გამოიხატოს:

***1. დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესებაში*** (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, ოფიციალურად დაფიქსირებული *უმუშევრების რიცხოვნება 2001 წელს 34,1%-ით გაიზარდა და 244,1ათასი კაცი შეადგინა);*

***2. დასაქმებულთა ხელფასების ზრდაში;***

***3. მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში;***

***4. და სხვა.***

ქვეყნის განვითარებაში არსებული ჩამორჩენის დაძლევისათვის საჭიროა რამოდენიმე ძირითადი მიმართულების არჩევა, სახელდობრ:

- კერძო მეწარმეობის მხარდაჭერა და განვითარება საბაზრო მექანიზმების მეშვეობით;
- კეთილსინდისიერი და კომპეტენტური სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების ჩამოყალიბება;
- ეკონომიკის გახსნილობა და მიმზიდველობა ვაჭრობისა და ინვესტიციებისათვის;
- ადამიანური რესურსების განვითარება და მოწინავე გამოცდილების გავრცელება.

* * *

აღნიშნული ანალიზი ნათლად წარმოაჩენს, რომ რეფორმების მიმდინარეობის პროცესმა ვერ შემოიტანეს ქვეყნის ეკონომიკის ყოფიერებაში ძირეული დადებითი ცვლილებები და ამჟამად იმედები ვითარების რადიკალური გამოსწო-





რებისა ეფემერულია.

იმის კონსტატირება, რომ ვითარება კრიტიკულია და განსაკუთრებული ღონისძიებების ჩატარებას მოითხოვს, უკვე საკმარისი აღარ არის. საჭიროა კონკრეტული ქმედებანი, რომლებიც გააზრებული და გეგმაზომიერი იქნება. იდეა მარტივია, ქვეყანაში ყველა პრობლემას და მის გამომწვევ მიზეზებს უნდა გამოუჩნდეს თავისი მეპატრონე, ანუ მას კონკრეტული მისამართი და სახე უნდა ჰქონდეს. ამის შემდეგ ყველა მათგანის მიმართ სისტემურად უნდა გატარდეს დროში და სივრცეში განსაზღვრული კონკრეტული ქმედებანი. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი კორუფციის დამარცხება, სამეწარმო გარემოს გაუმჯობესება და ეკონომიკური აღმავლობის უზრუნველყოფა.

---

ავთანდილ ჩუთლაშვილი

ცხრილი №1

## საქმიანი აქტიურობით დაკავებული სუბიექტების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით

| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები | 1996 | 1997 | 1998 | | 1999 | | 2000 | | 2001 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ერთეული | ერთეული | ერთეული | %-ლი წილი | ერთეული | %-ლი წილი | ერთეული | %-ლი წილი | ერთეული | %-ლი წილი |
| ქვეყანაში საქმიანი აქტივობით დაკავებული სუბიექტების რაოდენობა, სულ | 30952 | 44843 | 56488 | 100,0 | 65402 | 100,0 | 74600 | 100,0 | 81440 | 100,0 |
| ინდივიდუალური საწარმო | | | 26117 | 46,2 | 29152 | 44,6 | 33709 | 45,2 | 37067 | 45,5 |
| შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება | | | 17584 | 31,1 | 21052 | 32,2 | 24753 | 33,2 | 27022 | 33,2 |
| სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება | | | 1712 | 3,0 | 1879 | 2,9 | 2014 | 2,7 | 2069 | 2,5 |
| სააქციო საზოგადოება | | 1292 | 1347 | 2,4 | 1529 | 2,3 | 1600 | 2,1 | 1769 | 2,2 |
| კოოპერატივები | | | 761 | 1,3 | 863 | 1,3 | 902 | 1,2 | 944 | 1,2 |
| კომანდიტური საზოგადოება | | | 145 | 0,3 | 147 | 0,2 | 150 | 0,2 | 150 | 0,2 |
| სახაზინო საწარმო | | | 1890 | 3,3 | 1906 | 2,9 | 1324 | 1,8 | | |
| ფონდი | | | 148 | 0,3 | 407 | 0,6 | 520 | 0,7 | 581 | 0,7 |
| კავშირი (ასოციაცია) | | | 323 | 0,6 | 997 | 1,5 | 1675 | 2,2 | 2493 | 3,1 |
| სხვა იურიდიული პირები | | | 6461 | 11,4 | 7470 | 11,4 | 7953 | 10,7 | 9345 | 11,5 |





ცხრილი №2

## საქმიანი აქტიურობით დაკავებული სუბიექტების რაოდენობა მესაკუთრის ტიპის მიხედვით

| მესაკუთრის ტიპები | 1996 | 1997 | | 1998 | | 1999 | | 2000 | | 2001 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ერთეული | ერთეული | %-ლი წილი | ერთეული | %-ლი წილი | ერთეული | %-ლი წილი | ერთეული | %-ლი წილი | ერთეული | %-ლი წილი |
| ქვეყანაში საქმიანი აქტივობით დაკავებული სუბიექტების რაოდენობა, სულ | 30952 | 44843 | 100,0 | 56488 | 100,0 | 65402 | 100,0 | 74600 | 100,0 | 81440 | 100,0 |
| სახელმწიფო | | 3786 | 8,4 | 4596 | 8,1 | 5253 | 8,0 | 4836 | 6,5 | 4647 | 5,7 |
| კერძო პირი | | 38705 | 86,3 | 48326 | 85,6 | 55307 | 84,6 | 63974 | 85,8 | 69778 | 85,7 |
| კერძო პირი (უცხ. მოქალაქესთან ერთად) | | 586 | 1,3 | 705 | 1,2 | 850 | 1,3 | 993 | 1,3 | 1118 | 1,4 |
| უცხოეთის მოქალაქე | | 196 | 0,4 | 392 | 0,7 | 509 | 0,8 | 617 | 0,8 | 725 | 0,9 |
| არასამთავრობო ორგანიზაციები | | 856 | 1,9 | 1724 | 3,1 | 2754 | 4,2 | 3503 | 4,7 | 4512 | 5,5 |
| მუნიციპალური საკუთრება | | 619 | 1,4 | 672 | 1,2 | 656 | 1,0 | 613 | 0,8 | - | |
| სხვა ორგანიზაციები | | 95 | 0,2 | 73 | 0,1 | 73 | 0,1 | 64 | 0,1 | 660 | 0,8 |

ცხრილი №3

## საქმიანი აქტიურობით დაკავებული სუბიექტების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით

| ეკონომიკური საქმიანობის სახეობები | 1997 | | 1998 | | 1999 | | 2000 | | 2001 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ერთეულ. რაოდ-ბა | %-ლი წილი | ერთეულ. რაოდ-ბა | %-ლი წილი | ერთეულ. რაოდ-ბა | %-ლი წილი | ერთეულ. რაოდ-ბა | %-ლი წილი | ერთეულ. რაოდ-ბა | %-ლი წილი |
| ქვეყანაში საქმიანი აქტივობით დაკავებული სუბიექტების რაოდენობა, სულ | 44843 | 100,0 | 56488 | 100,0 | 65402 | 100,0 | 74600 | 100,0 | 81440 | 100,0 |
| ვაჭრობა, ავტომობილების, საყოფაცხოვრებო საქონლისა და პირადი სარგებლობის ნივთების რემონტი | 20810 | 46,4 | 28174 | 49,9 | 31345 | 47,9 | 35507 | 47,6 | 39751 | 48,8 |
| გადამამუშავებელი მრეწველობა | 6371 | 14,2 | 9433 | 16,7 | 8780 | 13,4 | 9718 | 13,0 | 10217 | 12,5 |
| ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა | 2948 | 6,6 | 3819 | 6,8 | 4533 | 6,9 | 5176 | 6,9 | 5603 | 6,9 |
| მშენებლობა | 1638 | 3,7 | 2054 | 3,6 | 2298 | 3,5 | 2599 | 3,5 | 2755 | 3,4 |
| სასტუმრო და რესტორნები | 1218 | 2,7 | 1504 | 2,7 | 1964 | 3,0 | 2267 | 3,0 | 2370 | 2,9 |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა და თევზჭერა | 2023 | 4,5 | 2512 | 4,4 | 2788 | 4,3 | 3066 | 4,1 | 3206 | 3,9 |
| საფინანსო შუამავლობა | 650 | 1,4 | 893 | 1,6 | 1110 | 1,7 | 750 | 1,0 | 1325 | 1,6 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებელზე მომსახურების გაწევა | 1848 | 4,1 | 2549 | 4,5 | 3246 | 5,0 | 3840 | 5,1 | 4069 | 5,0 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება | 1412 | 3,1 | 1958 | 3,5 | 2242 | 3,4 | 2444 | 3,3 | 2525 | 3,1 |
| კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება | 1979 | 4,4 | | 0,0 | | 0,0 | | 0,0 | 5951 | 7,3 |
| სახელმწიფო მართვა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაზღვევა | 832 | 1,9 | 1075 | 1,9 | 1312 | 2,0 | 1632 | 2,2 | 1662 | 2,0 |
| სხვა | 3114 | 6,9 | 2517 | 4,5 | 5784 | 8,8 | 7601 | 10,2 | 2006 | 2,5 |





ცხრილი №4

## საქართველოს ძირითადი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფები და ექსპორტი 1997-2001 წლებში

| სასაქონლო ჯგუფები | 1997 | | 1998 | | 1999 | | 2000 | | 2001 | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასი აშშ დოლა-რი | %-ლი წილი | ათასი აშშ დოლა-რი | %-ლი წილი | ათასი აშშ დოლა-რი | %-ლი წილი | ათასი აშშ დოლა-რი | %-ლი წილი | ათასი აშშ დოლა-რი | %-ლი წილი |
| ნავთობი და ნავთობპროდუქტები | 152168,9 | 16,1 | 161820,4 | 15,4 | 59178,3 | 9,8 | 71940,2 | 11,1 | 87728,9 | 12,8 |
| ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები | 75806,9 | 8,0 | 135381,7 | 12,9 | 62370,4 | 10,4 | 48556,4 | 7,5 | 47087,0 | 6,9 |
| მსუბუქი ავტომობილები და სხვა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები | 45322,5 | 4,8 | 77786,2 | 7,4 | 37996,1 | 6,3 | | 0,0 | | 0,0 |
| სამკურნალო საშუალებები | 35886,7 | 3,8 | 42449,1 | 4,0 | 42401,7 | 7,0 | 33903,3 | 5,2 | 38336,3 | 5,6 |
| ხორბალი | 57212,2 | 6,1 | 32492,2 | 3,1 | | 0,0 | 21852,9 | 3,4 | 11186,1 | 1,6 |
| ხორბლის ან ჭვავ-ხორბლის ფქვილი | 37113,1 | 3,9 | 24814,4 | 2,4 | | 0,0 | | 0,0 | | 0,0 |
| სიგარები და სიგარეტები | 107764,0 | 11,4 | 21970,7 | 2,1 | 35235,7 | 5,9 | 29390,0 | 4,5 | 24065,2 | 3,5 |
| ტელ-ის ან ტელეგრაფის ელექტრონული აპარატები | 17552,3 | 1,9 | 20973,8 | 2,0 | | 0,0 | | 0,0 | | 0,0 |
| ლერწმის ან ჭარხლის შაქარი | 39075,0 | 4,1 | 19659,0 | 1,9 | | 0,0 | | 0,0 | | 0,0 |
| ელექტროენერგია | | 0,0 | | 0,0 | | 0,0 | 15127,3 | 2,3 | 15603,3 | 2,3 |
| დანარჩენი პროდუქცია | 375610,7 | 39,8 | 511259,9 | 48,8 | 364756,8 | 60,6 | 429963,4 | 66,1 | 460090,7 | 67,3 |
| სულ იმპორტი | 943512,3 | 100,0 | 1048607,4 | 100,0 | 601939,0 | 100,0 | 650733,5 | 100,0 | 684097,5 | 100,0 |
| სულ ექსპორტი | 239787,1 | | 189853,9 | | 238190,6 | | 329872,8 | | 320028,8 | |
| ბალანსი | -703752,2 | | -693336,1 | | -363748,4 | | -320860,7 | | -364068,7 | |

ცხრილი №5

## ეკონომიკაში დასაქმებულთა რიცხოვნება და ცხოვრების დონე 1995-2001 წლებში

| დასაქმებულთა კატეგორიები | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15 წლამდე მეტი ასაკის მოსახლეობის რაოდენობა, ათასი კაცი | | 3100,0 | | 3193,1 | | | 3200,0 |
| ეკონომიკურად აქტიური (შრომისუნარიანი) მოსახლეობა, ათი კაცი | | 2914,0 | 2400,0 | 2145,8 | | | 2100,0 |
| ეკონომიკაში დასაქმებულთა რიცხოვნება, ათასი კაცი | 1728,0 | 1700,0 | 2260,8 | 1886,5 | | | 1891,0 |
| უმუშევართა რიცხოვნება, ათასი კაცი | | 1200,0 | 139,2 | 259,0 | | | 244,1 |
| დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი | | 77,0 | 746,1 | 785,6 | | | |
| თვითდასაქმებულთა რაოდენობა, ათი კაცი | | 23,0 | 1514,7 | 1091,6 | | | |
| დასაქმებულთა ნომინალური საშუალო ხელფასი, ლარი | 15,9 | 35,0 | 54,9 | 60,3 | 63,0 | 86,1 | 90,1 |
| საარსებო მინიმუმი შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის, ლარი | | 104,4 | 102,2 | 104,8 | 110,3 | 114,5 | 118,0 |
| საარსებო მინიმუმი შრომისუნარიანი ასაკის მომხმარებლისთვის, ლარი | | 91,6 | 89,6 | 92,0 | 96,7 | 100,4 | 103,5 |
| საარსებო მინიმუმი საშუალო ოჯახისათვის, ლარი | | 183,2 | 179,3 | 182,4 | 191,8 | 199,2 | 205,2 |





ცხრილი №6

## საქმიანი აქტიურობით დაკავებული სუბიექტების რაოდენობა და მთლიანი შიდა პროდუქტი

| ქვეყანაში საქმიანი აქტივობით დაკავებული სუბიექტების რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით | 2000 | | | | 2001 | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მშპ-ის წილი, % -ში | მშპ ათ. ლარი | ერთეულთა რაოდენობა | ერთ. წილი % -ში | მშპ-ის წილი, % -ში | მშპ ათ. ლარი | ერთეულთა რაოდენობა | ერთ. წილი % -ში | მთლიანი შიდა პროდუქტი ათასი ლარი |
| სულ | 100,0 | 6225,1 | 74 600 | 100,0 | 100,0 | 6505,2 | 81 440 | 100,0 | სულ |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა და თევზჭერა | 19,0 | 1181 | 3066 | 4,1 | 19,2 | 1247,0 | 3206 | 3,9 | სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, თევზჭერა |
| სამთომომპოვებელი მრეწველობა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ელექტროენერგიის, გაზის და წყლის წამოება და განაწილება | 18.4 | 1145.6 | 10494.0 | 14.1 | 17.2 | 1117.8 | 11043 | 13.6 | მრეწველობა, პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების მიერ |
| მშენებლობა | 3,8 | 236,1 | 2599 | 3,5 | 3,9 | 255,2 | 2755 | 3,4 | მშენებლობა |
| ვაჭრობა, ავ-ბის, საყოფაცხოვრებო საქონ. და პირ. სარგებ. ნივთ. რე-ტი | 12,8 | 800,0 | 35507 | 47,6 | 12,8 | 830,4 | 39751 | 48,8 | ვაჭრობა |
| სასტუმრო და რესტორნები | 2,4 | 148,0 | 2267 | 3,0 | 3,1 | 198,9 | 2370 | 2,9 | სასტუმრო და რესტორნები |
| ტრანსპორტი, სასაწყობო მეურნეობა და კავშირგაბმულობა | 14,1 | 880,0 | 5176 | 6,9 | 14,3 | 929,2 | 5603 | 6,9 | ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა |
| საფინანსო შუამავლობა | 1,4 | 87,5 | 750 | 1,0 | 3,1 | 119 | 1325 | 1,6 | საფინანსო შუამავლობა |
| ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებაზე მომსახურების გაწევა | 6,8 | 422 | 3840 | 5,1 | 6,8 | 443,9 | 4069 | 5,0 | ოპერაციები უძრავი ქონებით, კვლევები, კომერციული საქმიანობა |
| სახ. მართვა და თავდაცვა, სავალდებულო სოც. დაზღვევა | 3,7 | 229,2 | 1632 | 2,2 | 3,5 | 225,3 | 1662 | 2,0 | სახ. მართვა და თავდაცვა |
| განათლება | 3,9 | 241,3 | 1080 | 1,4 | 3,8 | 248,5 | 1160 | 1,4 | განათლება |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება | 5,1 | 316,2 | 2444 | 3,3 | 5,1 | 332 | 2525 | 3,1 | ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება |
| კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება | | | 5250 | 7,0 | | | 5951 | 7,3 | მომსახურების სხვა სახეები |
| სხვა | | | 500 | 0,7 | | | 20 | 0,0 | სხვა |

ცხრილი №7

## ერთი საქმიანი აქტიურობით დაკავებულ სუბიექტებზე მშპ-ს ხვედრითი წილი ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით

(ათასი ლარი)

| ძირითადი პარამეტრები | 2000 ათასი ლარი | 2001 ათასი ლარი | გადახრა წინა წელთან შედარებით |
|---|---|---|---|
| ერთი საქმიანი აქტივობით დაკავებული სუბიექტის ხვედრითი წილი მშპ-ში, მათ შორის | 83446,4 | 79877,2 | -3569,2 |
| სოფლის მეურნეობა, ნადირობა, მეტყევეობა და თევზჭერა | 385,1 | 389 | 3,9 |
| მრეწველობა, პროდუქტების გადამუშავება | 109,2 | 101,2 | -8,0 |
| მშენებლობა | 90,8 | 92,6 | 1,8 |
| ვაჭრობა, ავ-ბის, საყოფაცხოვრებო საქონ. და პირ. სარგებ. ნივთ. რე-ტი | 22,5 | 20,9 | -1,6 |
| სასტუმრო და რესტორნები | 65,3 | 83,9 | 18,6 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 170,0 | 165,8 | -4,2 |
| საფინანსო შუამავლობა | 116,7 | 89,8 | -26,9 |
| ოპერაციები უძრავი ქონებით | 109,9 | 109,1 | -0,8 |
| სახელმწიფო მართვა და თავდაცვა | 140,4 | 135,6 | -4,8 |
| განათლება | 223,4 | 214,2 | -9,2 |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება | 129,4 | 131,5 | 2,1 |
| სულ | 6225100,0 | 6505200 | 280100,0 |





ცხრილი №8

## ქვეყნის საბანკო სექტორის ძირითადი პარამეტრები

| ეკონომიკური საქმიანობის სახეობები | 1995 წ. | 1996 წ. | 1997 წ. | 1998 წ. | 1999 წ. | 2000 წ. | 2001 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნაღდი ფულის მასა, მლნ. ლარი | | | 254,6 | | | 325,1 | 365,7 |
| ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფულის მასა, მლნ. ლარი | 124,8 | 176,8 | 239,9 | 212,2 | 244,0 | 315,0 | |
| ეროვნული ბანკის სავალუტო რეზერვები, მლნ. აშშ დოლარი | 214,0 | 211,6 | 173,8 | 119,6 | | | 159,3 |
| იმპორტის რეზერვები, კვირა | 31,3 | 17,5 | 1,4 | | | | 6,9 |
| ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტების მოცულობა, მლნ. ლარი | 55,8 | 79,5 | 55,3 | 48,9 | 42,1 | 67,1 | 57,7 |
| უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების მოცულობა, მლნ. აშშ დოლარი | 22,9 | 38,3 | 77,8 | 107,4 | 158,4 | 236,2 | |
| კომერციული ბანკების სადეპოზიტო ვალდებულებები, მლნ. ლარი | | | | | | 303,3 | 383,6 |
| ფართო ფულის აგრეგატის მოცულობა (M3), მლნ. ლარი | 180,6 | 256,3 | 373,0 | 368,0 | 444,6 | 618,2 | 732,4 |
| ფართო ფულის აგრეგატის მოცულობა (M2), მლნ. ლარი | 157,6 | 217,9 | 295,2 | 261,1 | 286,1 | 382,1 | |
| სესხები ეროვნულ ვალუტაში, მლნ. ლარი | | | 89,1 | 93,0 | 87,1 | 85,0 | 94,1 |
| სესხები უცხოურ ვალუტაში, მლნ. აშშ დოლარი | | | 44,1 | 81,6 | 106,9 | 184,2 | 224,7 |
| საგარეო ვალის მოცულობა, მლნ. აშშ დოლარი | 1149,7 | 1347,7 | 1508,7 | 1627,4 | | 1543,1 | |
| საგარეო ვალის მომსახურების გადასახდელები, მლნ. აშშ დოლარი | 19,4 | 24,1 | 43,3 | 166,6 | | 35,7 | |
| სესხები ეკონომიკაში ეროვნულ ვალუტაში, მლნ. ლარი | | | | | 64,5 | 73,9 | |
| სესხები ეკონომიკაში უცხოურ ვალუტაში, მლნ. აშშ დოლარი | | | | | 219,8 | 319,5 | |

ცხრილი №9

## საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები 1997-2001 წლებში

| დასახელება | სულ | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს კანონი „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ | 44 | 3 | 5 | 11 | 13 | 12 |
| საქართველოს კანონებით საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები და დამატებები | 417 | 68 | 125 | 54 | 121 | 49 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 68 | 7 | 23 | 7 | 22 | 9 |
| საშემოსავლო და მოგების გადასახადი | 51 | 19 | 13 | 5 | 11 | 3 |
| აქციზი | 32 | 4 | 11 | 4 | 9 | 4 |
| მიწის გადასახადი | 17 | 3 | 7 | 5 | 1 | 1 |
| გადასახადი ქონების გადაცემისათვის | 15 | 2 | 6 | 1 | 6 | 0 |
| ქონების გადასახადი | 17 | 1 | 7 | 3 | 5 | 1 |
| სოციალური გადასახადი | 19 | 1 | 5 | 6 | 4 | 3 |
| გაადასახადი მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურებისათვის | 21 | 3 | 7 | 5 | 3 | 3 |
| გადასახადი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 16 | 1 | 5 | 2 | 5 | 3 |
| გადასახადი ავტოსატრანსპორტო საშუალებების საქ. ტერ. შემოსვლისა და ზენორმატიული დატვირთვისათვის | 6 | 0 | 4 | 1 | 1 | 0 |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებების მესაკუთრეთა გადასახადი | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 |
| სხვა | 153 | 26 | 37 | 15 | 53 | 22 |





# სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიური განვითარების გლობალიზაცია

თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს ადგილი დღესდღეობით განისაზღვრება არა იმდენად მუშა ხელისა და ნედლეულის სიუხვით, რამდენადაც ადამიანის კაპიტალის ხარისხით, განათლების დონით, ცოდნის პრაქტიკული გამოყენებითა და ეკონომიკის ინოვაციური აქტივობით.

სწორედ ამიტომაა, რომ ბოლო წლებში, მსოფლიო ეკონომიკური განვითარების პროცესში, აღინიშნება მეცნიერების როლის გათვითცნობიერებისადმი ინტერესის ახალი აღმავლობა. იგი ბევრ მიზეზზეა დამოკიდებული, რომელთა შორის საჭიროა განსაკუთრებით აღვნიშნოთ თანამედროვე მსოფლიოში ცალკეული ქვეყნების არათანაბარი ეკონომიკური ზრდის ტემპები, მეცნიერებატევადი პროდუქციის ბაზაზე გლობალური კონკურენციის გამძაფრება, საბიუჯეტო დეფიციტი, რომელიც რიგ ქვეყნებში ზღუდავს სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სახელმწიფო დაფინანსების შესაძლებლობებს და სხვა. ამასთან ერთად, ძლიერდება ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკური ზრდის ტემპების დიფერენციაცია და, აქედან გამომდინარე, ეროვნული ეკონომიკების სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონეთა შორის სხვაობა. ასე მაგალითად, წამყვანი ქვეყნების ხუთეული - აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ საკონსტუქტორო სამუშაოებზე ხარჯავენ უფრო მეტ სახსრებს, ვიდრე ერთად აღებული მსოფლიოს სხვა ქვეყნები, ამასთან, აღნიშნულ ხუთეულში აშშ-ს წილი 50%-ს აღემატება.[1]

მეცნიერული მიღწევები და მოწინავე ტექნოლოგიები ჰქმნიან ბაზას საერთაშორისო ინტეგრაციისათვის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ, ეკოლოგიურ და სხვა სფეროებში. ამავე დროს, მსოფლიო სამეცნიერო-საინოვაციო კომპლექსის ფეხზე დაყენებას და განვითარებას ახასიათებს საკუთარი კანონზომიერება, რაც აუცილებლად აისახება საქართველოს პრაქტიკაში, რომლის სამეცნიერო-საინოვაციო-ტექნოლოგიური განვითარების პერსპექტივების დასაბუთებული შეფასება შეუძლებელია მსოფლიოს ტენდენციების გათვალისწინების გარეშე და დაკავშირებულია გლობალიზაციის პროცესების ტემპების მუდმივ ზრდასთან.

ზოგადად გლობალიზაციის არსი მსოფლიო ეკონომიკის მზარდ ინტეგრაციაში მდგომარეობს. მსოფლიო მიისწრაფის ინტეგრაციის უფრო სრულყოფილი, ძირითადად საბაზრო მოგებითა და ეკონომიკური ეფექტიანობით სტიმულირებული მექანიზმებისაკენ, რომელიც ემყარება გარდაქმნის ურთიერთდაკავშირებულ მიმართულებებს: საერთაშორისო ვაჭრობა (დაბალი სავაჭრო ბარიერები და მეტი კონკურენცია), ფინანსური შემოსავალი (უცხოური პირდაპირი ინვესტიცია, ტექნოლოგიური ლიცენზირება, ფასიანი ქაღალდების ინვესტიცია, ვალი), კომუნიკაციები (მასმედია, ინტერნეტი), ტექნოლოგიური წინსვლა (ტრანსპორტი, ეკონომიკა, ბიოსაინჟინრო და მონათესავე დარგები), საზოგადოების მოძრაობა (მობილურობა), კერძოდ, შრომის სფეროში.

ეკონომიკის გლობალიზაცია - ეს არის ობიექტური მსოფლიო პროცესი, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია. იგი პლანეტას ერთიან ორგანიზმად აყალიბებს და ხელს უწყობს მისი ყველაზე დაშორებული კუთხეების განვითარებას. ეკონომიკის გლობალიზაცია - არის სისტემაშემქმნელი, მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნების ეკონომიკის მზარდი ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც იქმნება ქვეყნებს შორის საზღვრების მოშლის, საერთაშორისო კომუნიკაციებისა და ტრანსპორტის განვითარების, უამრავი ტრანსნაციონალური კორპორაციების, საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობებისა და საერთო ფასეულობებზე დაფუძნებული გლობალური საზოგადოების შექმნის შედეგად. დღეს მსოფლიოს 100 განვითარებულ ქვეყანას შორის 51 ქვეყნის ეკონო-

**წამყვანი ქვეყნების ხუთეული - აშშ, იაპონია, გერმანია, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი სამეცნიერო-კვლევით და საცდელ საკონსტრუქტორო სამუშაოებზე ხარჯავენ უფრო მეტ სახსრებს, ვიდრე ერთად აღებული მსოფლიოს სხვა ქვეყნები, ამასთან, აღნიშნულ ხუთეულში აშშ-ს წილი 50%-ს აღემატება.**

1. Жрн. «Мировая экономика и международные отношения» , №5, стр. 55, 2000, М.

მიკა გახდა ტრანსნაციონალური სისტემის შემადგენელი ან ურთიერთდაკავშირებული და ინტეგრირებული ნაწილი. სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკების გლობალიზაცია ან მზარდი ურთიერთდამოკიდებულება სარგებლიანობისა და დანაკარგის თანაბარი განაწილების გარანტიას არ იძლევა. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია აიძულებს სხვადასხვა ქვეყნებს ერთმანეთთან უფრო მჭიდროდ ითანამშრომლონ, რადგან გლობალური მსოფლიოს ერთ ნაწილში კოლაფსი სწრაფად გადაეცემა მეორეს.[2]

გლოაბალიზაცია, თავისი არსით, მასშტაბური მნიშვნელობით გამოირჩევა. იგი გავლენას ახდენს ადამიანზე, მის ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ სტატუსზე, მის განწყობასა და პიროვნულ განვითარებაზე, ფასეულობებსა და მისწრაფებაზე. იგი მნიშვნელოვნად აფართოებს საერთო ინფორმაციულ სივრცეს, ხელს უწყობს მეცნიერული კვლევის ინტენსიფიკაციას, როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი მეცნიერების დარგში, მეცნიერულ-ტექნოლოგიური-ინფორმაციული მიღწევების სწრაფ დანერგვას პრაქტიკაში და სხვა.

**ეკონომიკის გლობალიზაცია - ეს არის ობიექტური მსოფლიო პროცესი, რომლის შეჩერებაც შეუძლებელია. იგი პლანეტას ერთიან ორგანიზმად აყალიბებს და ხელს უწყობს მისი ყველაზე დაშორებული კუთხეების განვითარებას.**

ამასთან ერთად, დღესდღეობით, გლობალიზაციის მიმდინარე პროცესის შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობს. გამოითქვა მოსაზრება, რომ ეკონომიკის გლობალიზაცია (მსოფლიო სამეურნეო ინტეგრაცია) არ არის სწორხაზობრივი, არამედ წინააღმდეგობრივი, არათანაბარზომიერი პროცესია, რომელიც მუდმივად იცვლის თავის კონკრეტულ ფორმებს, რეალიზაციის მეთოდებს და, შესაბამისად, მექანიზმებს. გლობალიზაცია მოიცავს არა მხოლოდ ინტეგრაციას, არამედ დაშლასაც. გლობალიზაცია ახალი ტექნიკა-ტექნოლოგიის გამოყენებით ზრდის მასიურ უმუშევრობას, იწვევს ეროვნულ კონკურენტულ უპირატესობათა დეგრადაციას, ხელს უწყობს ანტიინდუსტრიულ განწყობილებებს, ანგრევს ეროვნულ ადამიანისეულ ინტელექტუალურ პოტენციალს, იწვევს წარმოების დაცემას ეროვნულ ეკონომიკაში, ზრდის ქონებრივ უთანასწორობას და სხვა.

მიუხედავად შეხედულობათა სხვადასხვაობისა, მეცნიერებასა და პოლიტიკაში გლობალიზაციის როლის შესახებ საერთო აზრი ჩამოყალიბდა, რომ იგი ობიექტური პროცესია, მისი გავლენით ფართოვდება სოციალურ-პოლიტიკური სფეროს ლიბერალიზაცია, ხდება საბაზრო ურთიერთობათა სრულყოფა, ასტიმულირებს წარმოებისა და შრომის ბაზრის ტრანსფორმაციას (სრულყოფის მიმართულებით), რომ გლობალიზაცია მრავალწახნაგოვანი კატეგორიაა, რომელიც აჩქარებს როგორც ადამიანებს, ასევე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა გაფართოებას, კაპიტალის, საქონლის, სამუშაო ძალის მსოფლიო ბაზრის ფორმირებას და ა.შ.[3]

როგორც აკადემიკოსი ლ. აბალკინი აღნიშნავს, ყველა, ვინც კი მსოფლიოში დამდეგი ასწლეულის დიდი ცვლილებების შესახებ ლაპარაკობს, პრაქტიკულად ყოველთვის, აღნიშნავს გლობალიზაციის შედეგების წინააღმდეგობრიობის შესახებ. მას, საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და სულიერი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის პროცესის დამთავრებისაკენ მივყავართ და, მეტ წილად, საზოგადოების პლანეტარულ მოწყობას ახალ იერს აძლევს. კაცობრიობა გლობალიზაციის საფრთხის წინაშე არ არის უსუსური. მას შესწევს უნარი პლანეტარული მასშტაბით წარმატებულად და გონივრად მართოს იგი. პოტენციურად გლობალიზაციას შეუძლია მკვეთრად გაზარდოს წარმოების ეფექტურობა, შეამციროს წარმოების ზრდის ეკოლოგიური შედეგები და თანაბრად გადაანაწილოს სიმდიდრე მდიდრებსა და ღარიბებს შორის.

ამ სფეროში ყოველთვის იარსებებს, გადაიჭრება და ხელახლა წარმოიქმნება სხვადასხვა სახის პრობლემა.“

მთავარია კაცობრიობამ გამონახოს გზები და საშუალებები გლობალიზაციის უპირატესობისა და დადებითი მხარეების მაქსიმალურად რეალიზაციისათვის და მისი უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური მხარეების დასაძლევად. ამ მიზნით სხვადასხვა ქვეყნებში მეცნიერებისა და შესაბამისი დარგების სპეციალისტების მიერ ინტენსიურად შეისწავლება აღნიშნული პროცესები. მარტო 2000 წელს გლობალიზაციის პრობლემებზე მსოფლიოში 200-ზე მეტი მონოგრაფია იქნა გამოცემული. სულ უფრო და უფრო მზარდი სისწრაფით ვრცელდება მთელს მსოფლიოში ინფორმაციის, პროდუქციის, მომსახურების, კაპიტალის და, ზოგ შემთხვევაში, ადამიანთა ნაკადები. ამასთან, რამდენადაც თანამედროვე სახელმწიფოები

2. И.В. Прангишвили - Системный подход и общесистемные закономерности. Москва, 2000 стр. 221

3. ნ. ჭითანავა - გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თბ., 2001, მე-3 ნაწ. გვ.7

4. Жрн. «Вопросы экономики» №12, стр. 37, 2000, М.



ბიულეტენი №70 ივლისი 2002 წ.

განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი მასშტაბებითა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მათზე გლობალიზაციის ზემოქმედებაც განსხვავებული იქნება. ეს ჰიპოთეზა აქტიურად განიხილება მსოფლიო ლიტერატურაში.

**მთავარია კაცობრიობამ გამონახოს გზები და საშუალებები გლობალიზაციის უპირატესობისა და დადებითი მხარეების მაქსიმალურად რეალიზაციისათვის და მისი უარყოფითი სოციალურ-ეკონომიკური მხარეების დასაძლევად.**

ასე მაგალითად, უმეტესობა ინდუსტრიულად განვითარებული სახელმწიფოების სტრატეგიულ მოდელსა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვან საფუძველს უახლესი ტექნოლოგიების დამუშავება, მათ საფუძველზე მაღალტექნოლოგიური საქონლისა და მომსახურების წარმოება, მათი საშუალებით მსოფლიო ბაზარზე გასვლა და სამეცნიერო-საინოვაციო ტექნოლოგიურ სფეროში ფორმირებადი გლობალური ეკონომიკის ჩარჩოებში საერთაშორისო ინტეგრაციის გაფართოება წარმოადგენს. აღნიშნულისათვის კი საჭიროა ადამიანთა და მატერიალური რესურსების მნიშვნელოვანი რაოდენობა და ხარჯი, რაც. მწვავე საბიუჯეტო დეფიციტისა და სახელმწიფოსა და კერძო სექტორის შეზღუდული საინვესტიციო შესაძლებლობების პირობებში, რა თქმა უნდა, ყველა ქვეყანას არ ძალუძს. სწორედ ამიტომ, მესამე სამრეწველო რევოლუცია განვითარებული მსოფლიოდან განვითარებადი მსოფლიოს მხოლოდ ცალკეულ ნაწილში ვრცელდება.

**გლობალიზაციის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მსოფლიოს სამეცნიერო-საინოვაციო-ტექნოლგიური სივრცის ფორმირება.**

ახალი ტექნოლოგიები (მიკროელექტრონიკა, რობოტოტექნიკა, ახალი მასალები, ბიოტექნოლოგია და ა.შ.), რომლებიც მესამე ათასწლეულის ეკონომიკას განსაზღვრავენ, მეცნიერებაზე დაფუძნებულ ეკონომიკას აყალიბებს, ხოლო ეკონომიკის ახალი მოდელი მუდმივად ცვლის სახელმწიფოთა ეკონომიკურ და სოციალურ ყოფას.

ახალი ეპოქის გამომხატველად შეიძლება მივიჩნიოთ ბილ გეიტსი, რომელიც მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანად ინფორმაციული პროცესების გაკონტროლების წყალობით იქცა. იგი ტრადიციული ეკონომიკის ტრანსფორმაციისაკენ მიმართული არსებული ცვლილებების სიმბოლოა. ეს ცვლილებები, ანუ წარმოებაში მეცნიერების მზარდი გამოყენება, შეიძლება განვიხილოთ, როგორც მესამე სამრეწველო რევოლუცია.[5]

გლობალიზაციის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მსოფლიოს სამეცნიერო-საინოვაციო-ტექნოლგიური სივრცის ფორმირება. თანამდეროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგია უზრუნველყოფს მთლიან ოპერატიულ შეღწევას მსოფლიოს მეცნიერულ-ტექნიკურ საინოვაციო ნაკადში, მეცნიერულ-ტექნიკური მონაცემების საერთაშორისო განმანაწილებელი ბაზის და ბანკების შექმნას, საკვლევი მიზნებისათვის ეფექტურ გლობალურ მონიტორინგს, საზღვარგარეთის ინტელექტუალური რესურსების დისტანციურ გამოყენებას.

როგორც XX საუკუნის დასასრულის მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენციების ანალიზი გვიჩვენებს, შემდეგი ასწლეულის საწარმოო-ტექნოლოგიური ცივილიზაციის სტრატეგიული გარდაქმნის საფუძველი, როგორც ჩანს, იქნება მეცნიერებატევადი ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიები (მეუტ) და საინფორმაციო ტექნოლოგიები. მსოფლიო ეკონომიკის „ინფორმატიზაციის“ ტენდენციამ წარმოქმნა გლობალიზაციის საბაზო ინფრასტრუქტურის - მსოფლიო გლობალური საინფორმაციო-კომპიუტერული ქსელის - „ინტერნეტის“ შექმნის იდეა, რომლის გამოჩენამდეც (1991წ.) გლობალური კაპიტალიზმის ბედი გაურკვეველი რჩებოდა. ეს არის მსოფლიოს ისტორიაში ყველაზე სწრაფად განვითარებადი საკომუნიკაციო სექტორი, რომლის მომხმარებელთა რიცხვი, როგორც ვარაუდობენ, მიმდინარე წელს 150 მილიონიდან ერთ მილიარდზე მეტად გაიზრდება. ინფორმაცია და კომუნიკაციები წარმოადგენენ იმ სფეროებს, რომელთაც ცოდნის საფუძველზე ეკონომიკური ზრდის ყველაზე დაჩქარებული ტემპები გააჩნიათ.

მსოფლიო ეკონომიკის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გლობალურმა ცვლილებებმა წარმოშვეს გლობალური პროცესების საერთაშორისო რეგულირებისა და მართვის აუცილებლობა. ფორმირდება ახალი ტექნოლოგიური მოწყობა, რომელიც დაფუძნებულია არა გარე ფორმის (კრისტალური მესერი) ზემოქმედებაზე, არამედ შრომის საგნის ღრმა სტრუქტურაზე, ატომურ-მოლეკულურ, უჯრედულ და გენურ დონეზე. XXI საუკუნეში ფართო პერსპექტივა იშლება გენური ინჟინერიის, ნანოტექნოლოგიის, ლაზერული და კომპიუტერული ტექნოლოგიების წინაშე. პირველხარისხოვანი მნიშვნელობა მიენიჭება კვლევებს, რომლებიც დაკავშირებულია

5. Даниэл Ичбиа, Сьюзен Кнеппер - Билл Гейтс и сотворение Microsoft. 1997, Ростов на Дону

**ახალი ტექნოლოგიები (მიკროელექტრონიკა, რობოტოტექნიკა, ახალი მასალები, ბიოტექნოლოგია და ა.შ.), რომლებიც მესამე ათასწლეულის ეკონომიკას განსაზღვრავენ, მეცნიერებაზე დაფუძნებულ ეკონომიკას აყალიბებს, ხოლო ეკონომიკის ახალი მოდელი მუდმივად ცვლის სახელმწიფოთა ეკონომიკურ და სოციალურ ყოფას.**

ადამიანის, საზოგადოების და ბუნების ჰარმონიზაციის მყარ განვითარებასთან. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტექნოლოგიური ციკლის მონაწილე ფირმებს შორის კავშირებს. 2001 წლისათვის აშშ-ის ათას მაცხოვრებელზე მოდიოდა 180 სერვერი (ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, შვეიცარიაში, კანადაში - 100-130). 475 მლნ. კაცს, ანუ დედამიწის მოსახლეობის 8%-ს (შვეიცარიასა და სკანდინავიის ქვეყნებში - 68%-მდე მოზრდილ მოქალაქეებს) აქვს ფიჭური ტელეფონი. საქართველოში 2000 წლის მონაცემებით მობილური ტელეფონების მფლობელთა საერთო რაოდენობამ 100 ათასს გადააჭარბა, ხოლო ინტერნეტით მომსახურებაზე ყველა სერიოზული კომპანია გადავიდა. ინფორმაციის ასეთი დონე გრძელვადიან კონტრაქტებზე დაფუძნებული ვირტუალური ალიანსების შექმნის საშუალებას იძლევა (კერძოდ, გაერთიანებული დამოუკიდებეული ფირმების ერთიანი სისტემის ინტერაქტიული მარკეტინგით, შესყიდვით, წარმოების ორგანიზაციით, გასაღებით და გაყიდვის შემდგომი მომსახურებით). ამ ინფორმაციული რევოლუციის პირდაპირ შედეგს წარმოადგენს ელექტრონული სავაჭრო მოედნის დახმარებით საუკეთესო მომწოდებლის არჩევა. საჭირო აღარ არის სასაწყობო მარაგები, უსარგებლო შესყიდვები, უამრავი შუამავლები და სხვა.[6]

მიმდინარე საუკუნის დამდეგს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაცია, მისი ექსპანსიის მასშტაბების ზრდა, განვითარების ეკოლოგო-ტექნოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური დომინანტები ზემოქმედებას გაუწევენ სტრატეგიას, ეროვნულ პრიორიტეტებსა და გეოპოლიტიკას. მეცნიერებატევადი ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიები (მეუტ) და ეკონომიკის ინფორმატიზაცია მოითხოვენ პროფესიულ მომზადებასა და განათლების უფრო მაღალ დონეს. სამუშაო ადგილები, რომლებზეც ყველა ოპერაცია ავტომატიზებულია და რომელთათვისაც შეიძლება შექმნილია ალგორითმი, მოითხოვს ინფორმაციის ნაკადში ორიენტირების ცოდნას, ვარიანტების შედარებისა და არასტანდარტული გადაწყვეტილებების მიღების უნარს. ეს ცოდნა დამოკიდებულია პიროვნების განვითარების დონეზე, მის შემფასებლურ ორიენტაციაზე, საერთო კულტურაზე. XXI საუკუნის დასაწყისში განსაკუთრებით დეფიციტური პროფესიებია - ხარისხის მართვის სპეციალისტები, ლოგისტიკა, ფინანსური მენეჯმენტი, მარკეტინგი, ინფორმაციის დაცვა, დამუშავება, მონტაჟი და ტექნიკური სისტემის გამართვა. ინტელექტუალური კაპიტალი ხდება ფირმის მთავარი საკონკურენტო უპირატესობა. ამით აიხსნება, რომ გასული საუკუნის ბოლოსა და ახალი საუკუნის დასაწყისისათვის დამახასიათებელია ახალი ცოდნისკენ სწრაფვა, რაც საზოგადოებისათვის სულ უფრო ძვირადღირებულ სიამოვნებას წარმოადგენს. მუშა ხელის ბაზრის „ინტელექტუალიზაციამ" წარმოქმნა ნაპრალი მცოდნეებსა და არამცოდნეებს, მდიდრებსა და ღარიბებს შორის, რამაც განვითარებულ ქვეყნებში შეიძლება უმუშევრობა გამოიწვიოს და კრიტიკული პრობლემა წარმოქმნას. ამიტომ, თანამედროვე პირობებში, განათლებაში ჩადებული დაბანდება ინვესტიციის გაცილებით მნიშვნელოვანი და ეფექტური სახეა.

ამ მიმართულებით ინტერესს იმსახურებს ე.წ. დისტანტური სწავლების გამოცდილება, რომელიც საშუალებას იძლევა შემცირდეს მისი ღირებულება (საჭირო აღარ იქნება შენობის შენახვის ხარჯები), გახდეს უფრო მიზანმიმართული (სტანდარტული ლექტორის ნაცვლად - ინდივიდუალური დამრიგებელი), აირჩიოს საუკეთესო მასწავლებლები (დამოუკიდებლად მათი საცხოვრებელი ადგილისა) და, რაც მთავარია წარმოებისაგან მოუწყვეტლად აწარმოოს სპეციალისტების გადამზადება ყველაზე შორეულ რაიონში. ყოველივე ეს რეალურს (და რენტაბელურს) გახდის პერსონალის სისტემატურ სწავლებას, მისი მთელი შრომითი ცხოვრების განმავლობაში.

როგორც აღვნიშნეთ, ბოლო პერიოდში სამეცნიერო-საინოვაციო-ტექნოლოგიური განსხვავება შესამჩნევლად გაიზარდა განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის, რომელთა თანამედროვე დონე და მიღწევები მნიშვნელოვნად ასტიმულირებს გლობალიზაციას. ამასთან დაკავშირებით, ურიგო არ იქნებოდა, შეგვეხსენებინა ცნობილი ავსტრიელი ეკონომისტის ი. შუმპეტერის მოსაზრება კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკურ ისტორიაში ინოვაციის როლის შესახებ, რომელიც მან წარმოადგინა, 'როგორც ეკონომიკური საშუალება, რომელსაც მეწარმე იყენებს უფრო მაღალი მოგების მისაღებად.[7]

დღეს, განვითარებულ ქვეყნებში, ინტენსიური საინოვაციო-ტექნოლოგიური განვითარების პირობებში შიდა ბაზრების ლიბერალიზაცია იძულებულს ხდის სამრეწველო კომპანიებს, განსაკუთრებით მაღალი ტექნოლოგიების სფეროში, მთელი ძალებით იბრძოლონ სწრაფადცვალებად ბაზარზე. განვითარებულ ქვეყნებში 80-90 წლებში მრეწველობის მეცნიერებატევადი დარგების ზრდის ტემპები საშუალოდ 1,5-2-ჯერ აღემატებოდა სამრეწველო ტემპებს მთლიანობაში. თუმცა, ეკონომიკის ტრადიციულ დარგებშიც კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება ასევე დამოკიდებულია ეფექტური, მოწინავე ტექნოლოგიების სწრაფად დანერგვის უნარზე.

გლობალურ საინოვაციო-ტექნოლოგიურ განვითარებაში წამყვანი როლი უკავიათ ძლიერ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს. მათი სტრატეგია უცხოური სამეცნიერო-ტექნიკური ქვედანაყოფების შექმნიდან, რომელთაც შეუძლიათ სამეცნიერო-ტექნიკური რესურსების აკუმულირება და მეცნიერებატევადი პროდუქციის გასაღების უზრუნველყოფა, გადაერთო ქსელური სტრუქტურების შექმნაზე, რომელიც სხვადასხვა ქვეყნების რესურსების რაციონალურად კომბინირების საშუალებას იძლევა და ეროვნული სამეცნიერო-საინოვაციო კომპლექსების და სხვადასხვა ქვეყნების სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის სასურველი მიმართულებით განვითარებას არეგულირებს. გლობალიზაციის შედარებით ყველაზე დაწინაურებულ ფორმას წარმოადგენს საერთაშორისო და საერთოკორპორაციული ტექნოლოგიური ალიანსი, რომელსაც, როგორც წესი, კონტროლს უწევენ მსოფლიო წამყვანი ფინანსური ჯგუფები. სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა, განსაკუთრებით ახალი საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების შექმნის სფეროში, უზრუნველყო ერთიანი საერთაშორისო ფინანსურ-ეკონომიკური ორგანიზმის ფორმირება, აგრეთვე ხელი შეუწყო საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციას, ეროვნული კულტურების დაახლოებასა და ადამიანისა და გარემოს ურთიერთზემოქმედების პრობლემისადმი ერთობლივი მიდგომის ჩამოყალიბებას.

როდესაც ვახასიათებთ სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიურ სფეროში გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებს, საჭიროა გამოიყოს რიგი ასპექტები. უწინარეს ყოვლისა ეს ტენდენციები ასახვას ჰპოვებენ უშუალოდ, საკვლევი სამუშაოების შინაარსსა და მიმართულებებში. ფუნდამენტური მეცნიერება თავისი არსით იმთავითვე წარმოადგენს ინტერნაციონალურს, რომელიც გადალახავს სახელმწიფოთაშორისო საზღვრებს და ხდება საკაცობრიო თვითშემეცნებისა და მსოფლიოს განვითარების პროგნოზირების ზოგადსაკაცობრიო საშუალება. გამოყენებითი კვლევებისა და დამუშავებების სფეროში უფრო ნათლად სჩანს მსოფლიო დონის ტექნოლოგიების შექმნის ორიენტაცია, რომელთაც გააჩნიათ გასაღების საერთაშორისო ბაზარი და მსოფლიოს ცალკეული ქვეყნებისა და რეგიონების საწარმოო და სოციალური სისტემების ინტეგრირების უნარი.

მეცნიერებატევად პროდუქციას მსოფლიო ბაზრის ჩარჩოებში, გააჩნია სხვადასხვა ტექნოლოგიური სპეციალიზაცია. ჩამოყალიბდა შრომის საერთაშორისო განაწილება, რომელიც ქვეყნებს საშუალებას აძლევს კონცენტრაცია გაუკეთოს რესურსებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების იმ მიმართულებით, სადაც ისინი ფლობენ განვითარებულ პოტენციალს. შედეგად ძლიერდება სახელმწიფოებს შორის ტექნოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება. ასე, მაგალითად, გამოთვლითი და საოფისე ტექნიკის წარმოების მოცულობის მიხედვით ლიდერია აშშ, იაპონიას - გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ელექტრონულ მრეწველობაში, შვეიცარია - აბსოლუტური ლიდერია ფარმაცევტულ მრეწველობაში. მსხვილი ექსპორტიორია ავია-კოსმოსურ ტექნიკაში - აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი.

თანამედროვე პირობებში სამეცნიერო-საინოვაციო ტექნოლოგიების სფეროს გლობალიზაციისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმები. გრძელდება საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიური კორპორაციების პირველადი ფორმების ხარისხობრივი განვითარება - საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების დამუშავება და რეალიზაცია, მეცნიერებისა და სპეციალისტების საერთაშორისო გაცვლა. ამასთან ერთად, ძალას იკრებს ინტეგრაციის უფრო ღრმა ფორმები - საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი კოლექტივები, მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უნიკალური ობიექტები, რომლებიც საერთაშორისო საკუთრებას წარმოადგენენ, ერთობლივი საწარმოები, რომლებშიც ამუშავებენ და აწარმოებენ მეცნიერებატევად პროდუქციას. შეიქმნა სამეცნიერო-სანოვაციო საქმიანობის საკოორდინაციო მექანიზმი. საერთაშორისო ტექნიკური პროექტები და პროგრამები მუშავდება და რეალიზაცია უკეთდება სახელმწიფოთაშორისი და ფირმებშორისი შეთანხმებებისა და რეგიონული ინტეგრაციული ინსტიტუტების (EC, ATEC და ა.შ) ჩარჩოებში, ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების - გაერო, იუნიდო, იუნესკო და სხვ. ეგიდით. ტარდება რეგულარული არაოფიციალური შეხვედრები სახელმწიფო სტრუქტურების ხელმძღვანელებს შორის, რომლებიც დიდი შვიდეულის ქვეყნებში მეცნიერების განვითარებას კურირებენ.

გადადგმულია მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომელიც მიმართულია საერთაშორისო სამეცნიერო-საინოვაციო ინფრასტრუქტურის ისეთი შემადგენლების უნიფიკაციის მიზნით, როგორიცაა სტანდარტები, სერთიფიკაციის სისტემები, ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის მექანიზმი და ა.შ. სწრაფი ტემპებით ვითარდება სამეცნიერო ტექნოლოგიური კომ-

6. Жрн. «Российский экономический журнал», №3, стр.13, 2001,М

7. Й. Шумпетер - Теория экономического развития М. 1982

პლექსის საერთაშორისო საფინანსო ინფრასტრუქტურა-საბანკო ქსელი, ფონდები, ვენჩურული და სადაზღვევო კომპანიები, ასოციაციები და ა.შ., რომლებიც სამეცნიერო-ტექნოლოგიური და საინოვაციო პროექტების ინვესტირებაზე არიან სპეციალიზებული. მეცნიერებისა და სამეცნიერო ორგანიზაციების საქმიანობა სულ უფრო მეტად მსოფლიო საერთო პრაქტიკას ეყრდნობა და საერთაშორისო ერთიანი კრიტერიუმებით ფასდება.

**როგორ გვესახება სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიური განვითარების გლობალიზაციის მომავალი ნაბიჯები, მიმართულებები და წინაპირობები საქართველოში. იგი ვითარების ნებისმიერი განვითარების პირობებში გლობალური ტენდენციის გავლენის ზემოქმედებას განიცდის, რაც ურთიერთქმედებაში იქნება საზღვარგარეთის სამეცნიერო-საინოვაციო სისტემებთან.**

სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიური გლობალიზაციის ძირითად საპროგნოზო მიმართულებებად შეიძლება წარმოდგენილი იქნეს:

- ტექნოლოგიების პრიორიტეტული დამუშავებები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქვეყნებს შორის საინფორმაციო ურთიერთმოქმედებას და საინფორმაციო საზოგადოებაში გადასვლას;
- გლობალური მეტატექნოლოგიების დამუშავება (ტექნოლოგიური და სოციალური ინოვაციების ინტეგრირება);
- ინტელექტუალური რესურსების საერთაშორისო მობილურობის რადიკალური ინტენსიფიკაცია;
- მსოფლიო სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარების ნაწილობრივი რეგულირების საერთაშორისო მექანიზმის ფორმირება, უწინარეს ყოვლისა ეკოლოგიური პრობლემების მიზნით, ასევე „მესამე მსოფლიოს“ ქვეყნების ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის შემცირება;
- საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურაში მცირე და საშუალო მეცნიერებატევადი ბიზნესის ორგანული ჩართვა;
- ინტერნეტ-ტექნოლოგიებისა და კომპანიების განვითარება, რომლებიც სამეცნიერო-საინოვაციო ციკლის სხვადასხვა სტადიაზე მოახდენს სხვადასხვა ქვეყნების ინტელექტუალური რესურსების აკუმულირებას;
- მსოფლიო სამეცნიერო-ტექნოლოგიური კომპლექსის განვითარების პროცესის რეგულირებაში ტრანსნაციონალური კორპორაციების და სახელმწიფო სტრუქტურების ურთიერთმოქმედებისა და საწინააღმდეგო ქმედების შეთანხმება.

ჩამოთვლილი მიმართულებები შესაძლებლობას იძლევა ზოგადად შევაფასოთ მსოფლიოს სამეცნიერო-ტექნოლოგიურ არენაზე ქვეყნის ადგილის პერსპექტივა.[8]

როგორ გვესახება სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიური განვითარების გლობალიზაციის მომავალი ნაბიჯები, მიმართულებები და წინაპირობები საქართველოში. იგი ვითარების ნებისმიერი განვითარების პირობებში გლობალური ტენდენციის გავლენის ზემოქმედებას განიცდის, რაც ურთიერთქმედებაში იქნება საზღვარგარეთის სამეცნიერო-საინოვაციო სისტემებთან. მაგრამ საერთაშორისო ინტეგრაციის მასშტაბები და სიღრმე, რაც მთავარია, მისი ეკონომიკური და სოციალური შედეგები დამოკიდებული იქნება ბევრ ობიექტურ, თუ სუბიექტურ ფაქტორებზე. კერძოდ, სამეცნიერო-ტექნოლოგიურ სფეროში ინტეგრაციისა და გლობალიზაციის ტენდენციის ხასიათი უმეტესად განისაზღვრება ქვეყანაში ფორმირებული სოციალურ-ეკონომიკური მოდელით. გლობალურ მექანიზმში ეფექტურად ჩართვის უფრო ხელსაყრელი პირობები, ალბათ შეიქმნება არა განვითარების უკიდურესი ვარიანტების შემთხვევაში - ზედმეტი ლიბერალიზაციის, ან სახელმწიფო ჰიპერტროფირებული ეკონომიკის, არამედ საბაზრო ურთიერთობებში სახელმწიფო რეგულირების ზომიერი ჩართვით, რომელიც უზრუნველყოფს ეტაპობრივად შექმნას საინოვაციო სისტემა, მსოფლიო ტენდენციებისა და ეროვნული მეცნიერების, საინჟინრო და საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით.

**გლობალიზაციის პროცესში ჩართვა ეს არის რეალობა, ფაქტი და მას ფეხი უნდა ავუწყოთ. გლობალიზაციისგან მაქსიმალურად უნდა მივიღოთ ის, რაც სასარგებლოა. პროცესი მიდის, ჩართული ვართ მასში და არ შეიძლება დავრჩეთ პასიურ მაყურებლად. უნდა გვქონდეს გააზრებული მიზანმიმართული სტრატეგია და არც ერთი ნაბიჯი არ უნდა იყოს უსისტემო.**

ცხადია, ამ პრობლემების მოგვარება თამანე-

8. Наука и технологии в России. Москва, 2000, стр. 9





დროვე პირობებში მარტო საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეუძლებელია და საჭიროა ამ მიმართებით მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და მოწინავე საზღვარგარეთული გამოცდილების მიზანდასახული შესწავლა და მათი გამოყენება ჩვენი ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით.

ასე, რომ, გვინდა თუ არა გლობალიზაციის პროცესში ჩართვა ამას დღეს უკვე აღარავინ კითხულობს. ეს არის რეალობა, ფაქტი და მას ფეხი უნდა ავუწყოთ. ეს ნიშნავს, რომ გლობალიზაციისგან მაქსიმალურად უნდა მივიღოთ ის, რაც სასარგებლოა. რეალობა გვიჩვენებს, რომ პროცესი მიდის, ჩართული ვართ მასში და არ შეიძლება დავრჩეთ პასიურ მაყურებლად. უნდა გვქონდეს გააზრებული მიზანმიმართული სტრატეგია და არც ერთი ნაბიჯი არ უნდა იყოს უსისტემო.[9]

პირველ რიგში, მსოფლიოს სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიურ კომპლექსში ღირსეული ადგილის მოსაპოვებლად, რაც ქვეყნის მუდმივი მიზანი და ორიენტირი უნდა იყოს, საჭიროა შემუშავდეს მიზანმიმართული და სელექტური სტრატეგია, რომლის ბაზაზე შესაძლებელი იქნება სამეცნიერო-ტექნიკური და საინოვაციო პოლიტიკის სახელმწიფოებრივი ეფექტური პოლიტიკის ფორმირება იმდაგვარად, რომ გლობალიზაციის ტემპს დავეწიოთ და ეს პროცესი ქვეყნის სასარგებლოდ გამოვიყენოთ. ქვეყანაში უნდა ჩამოყალიბდეს პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური სტაბილური პირობები და გარემო. აუცილებელია საგანმანათლებლო და სატელეკომუნიკაციო შესაძლებლობების მაქსიმალური გაზრდა და ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხალხს და ქვეყანას გლობალურ ეკონომიკაში შესვლის საშუალებას მისცემს. ასევე აუცილებელია, უცხო კაპიტალის მოზიდვა და ღია ლიბერალურ მდგომაზე ეკონომიკის და გარე სამყაროს ურთიერთქმედების გათვალისწინება. საქართველომ უნდა შექმნას სათანადო საინვესტიციო გარემო და მყარი გარანტიები ინვესტორებისათვის, რომლის გარეშე, საკუთარი ფინანსური ძალებით, ეკონომიკური ზრდის მიღწევა მას არ შეუძლია. გლობალურ საინტეგრაციო პროცესში მეცნიერებისა და საინოვაციო-ტექნოლოგიური საქმიანობის გარდაქმნასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმები ასევე დამოკიდებულია სისტემური რეფორმებისა და სტრუქტურული პოლიტიკის ხარისხზე, რომელიც ღია საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი ფორმების განვითარებასა და მისი მსოფლიო პრაქტიკისადმი ადაპტირებას, სამამულო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, ინტელექტუალური პროდუქტის, მეცნიერებატევადი საქონლისა და მომსახურეობის მსოფლიო ბაზარზე გატანას, ამასთან ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას უნდა ითვალისწინებდეს.

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო და საინოვაციო-ტექნოლოგიური განვითარების გლობალიზაციის შესახებ ლიტერატურა, განსაკუთრებით ქართულ ენაზე, მეტად მწირია. ჩვენ შევეცადეთ უკანასკნელ პერიოდში სხვადასხვა ქვეყნებისა და ავტორების მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებისა და ინფორმაციების გამოყენებით, მათი შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე, მოკლედ გაგვეშუქებინა ამ მიმართებით არსებული მდგომარეობა, რომელიც მეტად სპეციფიკური და მრავლისმომცველი სფეროა. ამდენად, მას, როგორც ჩვენს პირველ ცდას, ყოველივეს სრულად წარმოჩენის პრეტენზია არ გააჩნია. ამ საქმიანობის უფრო სრულად გაშუქებისათვის მიზანშეწონილია მისი თანმდევი სხვა აუცილებელი საკითხების განხილვაც, რაც მოცემული იქნება ჩვენს შემდგომ ნაშრომებში.

---

პროფესორი შოთა ჭალაგანიძე
ეკა ჭალაგანიძე

9. ჟურნ. „ეკონომიკური რეფორმები დღეს“, №4 გვ.45,2001, თბ.

# საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნდა 1995 წლის ივლისში. ცენტრი წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების, პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა აქტიური ჩართვით, მათი ინტერესების ლობირებისა და სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერის გზით ხელს უწყობს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობას. ცენტრი ცდილობს მხარი დაუჭიროს საზოგადოების იმ ჯგუფებს და ცალკეულ პირებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ რეფორმებს და ადამიანის უფლებების დაცვის ეფექტური ინსტიტუტის ჩამოყალიბებას

საზოგადოების ყველა სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით და გამჭვირვალობის, თანასწორობისა და შემოქმედებითი მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით ორგანიზაცია ცდილობს ინფორმირებული, მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოების დამკვიდრებას, რაც დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გარანტია.

## ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებები:

- *სამოქალაქო განვითარება*
- *გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება*
- *საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება*
- *ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა*

*თითოეული ამ პრიორიტეტული მიმართულებით ჩამოყალიბებულია და მოქმედებს სამუშაო ჯგუფები.*

## ცენტრის მუშაობის მეთოდები:

- პრობლემის განსაზღვრა, გამოკვლევა და შესაბამისი ინფორმაციის და რეკომენდაციების მიწოდება მომხმარებლებისათვის;
- ეფექტური სოციალ-ეკონომიკური განვითარებისათვის პროგრამებისა და მიდგომების შემუშავება-განხორციელება;
- მოქალაქეთა და სამოქალაქო ჯგუფების სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა, მათი გადაწყვეტილების მღების პროცესში აქტიური ჩართვა, რათა მოხდეს მათი უფლებების უფრო ეფექტური დაცვა და საზოგადოებასა და მთავრობას შორის ურთიერთანგარიშვალდებულების ზრდა;
- ლობირების მექნიზმის შემუშავება და მათი ეფექტური ამოქმედება;
- მაღალკვალიფიციურ ექსპერტთა ქსელთან მუშაობა;
- სამუშაო შეხვედრების, სემინარების, საჯარო განხილვების მოწყობა;





- ცენტრის რეგულარულ გამოცემებში/ბიულეტენებში* გამოკვლევების რეგულარული გამოქვეყნება;
- საზოგადოებაში დემოკრატიული და სამოქალაქო მიდგომების ხელშეწყობა მასმედიის საშუალებით.

**- საქართველოს ძირითადი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პრობლემების ირგვლივ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით ცენტრი თავისი საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით რეგულარულად გამოსცემს ბიულეტენს და ლიფლეტებს, რომლებიც მიეწოდება სხვადასხვა სამთავრობო და სამეცნიერო უწყებების, პოლიტიკური და არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო სტრუქტურების, მსხვილი კორპორაციების წარმომადგენლებს – გადაწყვეტილების მიმღებ პირებს.*

## განხორციელებული და მიმდინარე პროექტები:

- კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ; კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
- საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონცეფცია;
- ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
- ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროექტი;
- თვითმმართველობა საზოგადოებრივ სამსახურში;
- სამუშაო ჯგუფი „საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება";
- შავი ზღვის არასამთავრობო გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელის კოორდინირება.

- ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების შემდგომი სამწლიანი პროექტის დაგეგმვისათვის შუალედური პერიოდი;
- შავი ზღვის არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის ფუნქციონირება და პოპულარიზაცია;
- ცენტრის ინსტიტუციური განვითარება.
- სამუშაო ჯგუფი „საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება";
- სამუშაო ჯგუფი „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა";
- მოქალაქეთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვა;
- საქართველოში სათემო მოძრაობის გაძლიერება.

## ცენტრის დონორი ორგანიზაციები

- **NOVIB** - ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის;
- **FES** - ფრიდრიხ ებერტის ფონდი;
- მსოფლიო ბანკის მცირე გრანტების პროგრამა;
- ბრიტანეთის საელჩოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი;

Friedrich-Ebert-Stiftung Bonn

# ცენტრის მხარდამჭერები

❖ ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი" მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

❖ ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

❖ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა", კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი".

❖ ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

❖ ცალეული ღონისძიების სპონსორი კომპანია ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი" და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება ღონისძიებებზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

## *საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები*

❖ კომპანია ზენიტ გამა კონსალთინგი (**Zenith Gamma Consulting**)
❖ პროფესორი ალექსანდრე თვალჭრელიძე
❖ პროფესორი თეიმურაზ გორიტაშვილი
❖ VII არხი

**მხარდამჭერობით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე**

**ცენტრის საქმიანობით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.**

ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33ª, ბინა 22.
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124, 250711
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net
http://csrdg.gol.ge



## ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, ______________________

სამუშაო ადგილი ______________________

თანამდებობა ______________________

მისამართი ______________________

ტელეფონი ______________ ფაქსი ______________

# კოლექტიური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება ______________________________

მისამართი ______________________________

ტელეფონი ____________________ ფაქსი __________

საკონტაქტო პირი ______________________________

(სახელი, გვარი, თანამდებობა)